იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის 39-ის წელი

№ 23-24 (208)

დეკემბერი,

1968 წელი

საქ. სსრ. სახ. ბიბლიოთეკა

მოგვილოცნია ახალი წელი, მეგობრებო!



ქართული კაბელი საზღვარგარეთ



ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხნის კოლექტივი წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებას.

ამ დღეებში ქარხნის კოლექტივმა დასაყენებელი გამტარი გაგზავნა უნგრეთსა და კუბაში. წელს ქარხანამ თავისი პროდუქცია დიდი რაოდენობით გაგზავნა აგრეთვე ვიეტნამში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში.

* * *

სურათზე: ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხნის ერთ-ერთ საამქროში.

გარიგალდის სახელოგისა

რუსთავი. მშენებელთა დაბის თვალწარმტაც კუთხეში მდებარეობს დიდი სამამულო ომის ვეტერან გიორგი ნასარიძის სახლი. ამას წინათ ამ სახლის ეზოში და მომიჯნავე ქუჩაში ხალხმრავლობა იყო. აქ მოვიდნენ გიორგის მეგობრები თბილისიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, მახარაძიდან, ხაშურიდან, ტყიბულიდან, ამბროლაურიდან, ონიდან, რომლებიც მასთან ერთად იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში.

— პაროლი? — ეკითხება ყოველ შემომსვლელს ჭიშკართან მდგომი კაცი.

— ლიბერტა აღ პოპოლი! თავისუფლება ხალხებს! — უპასუხებს მოსული.

როცა ოთახი ხალხით გაივსო, სახლის პატრონმა მიმართა ერთ-ერთ მაღალ და გამხდარ კაცს:

— 60 პარტიზანიდან ესწრება 25, დანარჩენები დაიღუპნენ ან არ ესწრებიან საპატიო მიზეზის გამო. შეგიძლია გახსნა „არაკეგალური“ ბიუროს სხდომა.

იტალიაში ქართული პარტიზანული ბატალიონის ყოფილ მეთაურს ნოე კუბლაშვილს გაეღიმა.

—ეს სხდომა, — თქვა მან, — ეძღვნება მუზეუმის გახსნას, რომელსაც მივაკუთვნეთ გარიბალდის სახელი, ახლა კი მოვიწვიოთ სტუმრები.

გადაიჭრა ცისფერი ლენტი. მაყურებელთა თვალწინაა გარიბალდის, პალმირო ტოლიატის, ლუიჯი ლონგოს დიდი პორტრეტები.

კედლებზე, მაგიდებზე, სტენდებზე გამოფენილია დოკუმენტები, ფოტოსურათები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთების ამონაჭრები, წერილები, რომლებიც მოგვითხრობენ საქართველოს შვილთა საბრძოლო გმირობაზე, იმათზე, ვინც იბრძოდა იტალიის მთებში სახალხო შურისმაძიებელთა რიგებში.

ექსპონატებს შორის არის მადლობის წერილები და მილოცვები ქართველი პარტიზანებისადმი იტალიის კომპარტიის თვალსაჩინო მოღვაწეებისაგან, ჟურნალები და ბროშურები, რომლებიც იტალიაში გამოვიდა და მოგვითხრობს ქართველ გალიბარდელთა სახელოვან საქმეებზე.

მუზეუმში ხალისით დადიან რუსთავისა და თბილისის მცხოვრებნი. აქ ეწყობა შეხვედრები ყოფილ პარტიზანებთან.

თბილისის უნივერსიტეტში დავაჭკაცებულნი


თბილისი,

1968 წლის

17 დეკემბერი —

პირველი

თოვლი.



თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში მომავალ მეცნიერთა ახალი შევსებაა 60 სხვადასხვა სპეციალობის ასზე მეტი ყველაზე ნიჭიერი სტუდენტი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მეცნიერებისა და მეცნიერული მოღვაწეობისადმი ინტერესით. დღევანდელი ასპირანტები ხვალინდელი გენეტიკოსები, თეორიული და გამოყენებითი კიბერნეტიკის, რიცხვთა თეორიისა და ბირთვის თეორიის, ეკონომიურ კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების, მათემატიკური ლინგვისტიკის, ესთეტიკის, ფილოსოფიის, კავკასიისმცოდნეობის სპეციალისტები იქნებიან.

თავის 50 წლისთავს, რომელიც ოქტომბერში აღინიშნა, უნივერსიტეტი შეეგება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მნიშვნელოვანი მიღწევებით. შორს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცნობილია მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, ფიზიოლოგთა, ლინგვისტთა, აღმოსავლეთმცოდნეთა, ფსიქოლოგთა, ისტორიკოსთა ქართული სამეცნიერო სკოლები. რესპუბლიკის უძველეს უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი ნიჭიერი მეცნიერი აღიზარდა.

რამდენიმე წლის წინათ **კოტე ცისკარიძე,** რომელმაც არაჩვეულებრივი მათემატიკური ნიჭი გამოიჩინა, უგამოცდოდ ჩარიცხეს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტად. ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კი ასპირანტურაში შესვლას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო. ლენინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა **რევაზ გამყრელიძემ,** რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მუშაობს, ცისკარიძე მიიწვია მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. ახალგაზრდა მეცნიერის ჩამოყალიბებას თავისი ხელმძღვანელობით ხელი შეუწყო **ალბერტ თავხელიძემ,** რომელიც დუბნაში მუშაობს და გამოჩენილი ფიზიკოს-თეორეტიკოსია, ამას წინათ კი იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

საგულისხმოა, რომ ასაკობრივი ინტერვალი მოწაფეებსა და მასწავლებლებს შორის 8-10 წელს არ აღემატება, ყველაზე უფროსი მასწავლებელი კი 40 წლისაც არ არის. უნივერსიტეტში უგამოცდოდ მიღებული **თეიმურაზ ვეფხვაძეც,** სწავლების მეორე წლის ასპირანტი, უკვე დამოუკიდებელი გამოკვლევების ავტორია რიცხვთა თეორიის დარგში, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია. ნიჭიერ მათემატიკოსად არის ცნობილი **არჩილ მამაცაშვილიც.**

ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი ცოდნას იმაღლებს საზღვარგარეთ. ფიზიკოსი **გრიგოლ კეკელიძე** სტაჟს გადის ოქსფორდის უნივერსიტეტში. ნახევარგამტარების სპეციალისტი უნივერსიტეტის საპრობლემო ლაბორატორიის გამგე **იური ჩხარტიშვილი** ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ბიოქიმიკოსი **ნოდარ ალექსიძე** 9 თვეს მუშაობდა სპეციალობის მიხედვით შვეიცის ერთ-ერთ ლაბორატორიაში.

ცნობილია, რომ მათემატიკოსი ახალგაზრდობიდანვე იჩენს განსაკუთრებულ ნიჭს. მაგალითად თეორეტიკოსმა, ფუნქციური ანალიზის სპეციალისტმა **ლევან ჟიჟიაშვილმა** — თბილისის უნივერსიტეტის ყველაზე ახალგაზრდა 33 წლის პროფესორმა უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში სწორედ რომ თავბრუდამხვევი „კარიერა“ გაიკეთა. ამ ხნის განმავლობაში მან დაამთავრა ასპირანტურა, გახდა დოცენტი, შემდეგ კი მეცნიერების დოქტორი.

ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლებთან ერთად სულ უფრო „ახალგაზრდავდება“ ჰუმანიტარული პროფილის მეცნიერთა შემადგენლობა.

დოცენტმა **ალექსანდრე ალექსიძემ,** რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ასპირანტი იყო, კლასიკური ფილოლოგიის ლექციების კურსი წაიკითხა სტრასბურგის უნივერსიტეტში. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტი **გია ბერიძე** ცნობილია თავისი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით ირანის ისტორიაში. **შალვა ბადრიძემ** საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიაში.

ასპირანტთაგან ბევრი გამოჩენილი მეცნიერი გამოვიდა, მათ შორის, მაგალითად, ისეთი თვალსაჩინო ფიზიკოს-თეორეტიკოსი, როგორიც **გიორგი ჩიქოვანი** იყო, რომელსაც 39 წლისას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მისმა შრომებმა ცერნში (შვეიცარია) მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში შევიდნენ წევრ-კორესპონდენტებად **ვ. ოკუჯავა, თ. გამყრელიძე, თ. ონიანი** და სხვები.

— ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერი ახალგაზრდობა ფუნდამენტური ქართული მეცნიერების ღირსეული შვილებაა, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურის გამგემ ლ. ადეიშვილმა, — საკმარისია ითქვას, რომ 1.100 პროფესორ-მასწავლებლიდან დაახლოებით ყოველი მეორე მეცნიერული საქმიანობისათვის მომზადა ასპირანტურამ.

ვალერიან ჩეკურიშვილი.

ჯარისკაცის სახლი

როცა ახალი წელი ახლოვდება, როცა ქალაქში საახალწლო ნაძვის ხეებს ყიდულობენ, მე ყოველთვის თვალწინ მიდგას კავკასიონის მთების ძირში მიყუჟული, თოვლით დაბურული ჩემი პატარა სოფელი, სადაც უკანაფშავიდან ჩამოსახლებული ფშაველები ცხოვრობენ, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლობს ლამაზი და უწყინარი ძველებური ფშავური საახალწლო რიტუალები. ცოცხლობს, ვიდრე ცოცხლობენ ის ადამიანები, რომლებმაც იგი მთებიდან აქ ჩამოიტანეს.

ახალწლის წინადღეს ჩემს სოფელში ყოველთვის ლამაზად, ხვავრიელად თოვს. ათოვს მის ნახნავს და ნათიბს, ტყეებს და ველებს, მინდვრებს და სერებს.

სარუეზე მოღუღუნე წისქვილი წელში ჩაუზნექია თოვლს...

შორს წასულნი აუცილებლად შინ ბრუნდებიან — ახალ წელს ყველა საკუთარ ჭერქვეშ გაღვივებულ კერასთან უნდა შეხვდეს.

ახალწლის წინადღეს რატომღაც უფრო მშვიდი და უხმაუროა სოფელი. იქნებ ეს იმის ბრალია, რომ არემარე თოვლითაა დაბურული და ხეებს დათოვლილი ტოტები დედამიწამდე დაუხრიათ, ან იქნებ იმიტომ, სოფელს მშვიდობა და უშფოთველობა დაეკვებოსო.

ახალწლის წინადღეს მამა შვილს არ გალახავს;

გადაკიდებული მეზობლები ერთმანეთს ავი თვალით არ შეხედავენ;

ავი დედინაცვალიც კი არ დაიწყევლება;

მუშა კაცი ხარს სახრეს არ დაარტყამს;

წინ შემხვედრნი ტკბილი სალამ-ქალამით მოიკითხავენ ერთურთს.

სიამტკბილობაში დაიწურება ძველი წლის უკანასკნელი დღე.

ადრეული ბინდი ჩამოწვება სოფელში და ყველა ფანჯარა გაიცინებს.

ყველა ოჯახში შემოდგამენ ზედადგარზე ხორცით სავსე ქვაბს — ოჯახს ბარაქა დაეკვებებაო.

ყველა დიასახლისი აავსებს სუფრას ტკბილეულობით — ოჯახს სიამტკბილობა დაებედებაო.

ყველა სახლი სიმღერითა და სიხარულით შეეგებება ახალი წლის მობრძანებას, გარდა ერთი სახლისა... იგი სოფლის განაპირას დგას და ახალ წელს ხვდება თვალებამოღამებული, დადუმებული, უსიცოცხლო და ვარამისაგან დაპატარავებული. ოცდამეშვიდე წელია, ასე ჩაფიქრებული, სევდიანი დგას და წლები გადიან სიხარულის მოლოდინში.

მას ჯარისკაცის სახლს ეძახიან.

* * *

ამ პატარა სოფელში ზოგნი ადრე ჩამოსახლდნენ მთებიდან, ზოგნი გვიან. დავითმა კი ოცდაშვიდი წლის წინათ გაჭრა ამ სახლის ლიბო. მარტოხელას ტოლ-სწორები ამოუდგნენ მხარში — საქმეს გაგიიოლებთო. საძირკველში ვერცხლის ფულები ჩააყოლეს — სახლს ბედნიერება და ბარაქა დაეკვებებაო. მერე დალოცეს სამოსახლო, დაიკაპიწეს სახელო და სიმღერით ააშენეს უძმოს სახლი.

ახალი ჭერი ბედნიერებას ელოდა, მაგრამ დავითს არ დასცალდა ბედნიერება, იმ ზაფხულს ომი დაიწყო.

მახსოვს ომში წამსვლელ ბიჭებს როგორი გაცილება მოუწყო სოფელმა.

მთელი ღამე ღრეობაში გაატარეს.

მზის ამოსვლისას სასაგზლეები აიკიდეს. ერთმანეთს ხელი გადახვიეს და სიმღერით დაადგნენ თემშარას.

სოფლის წყაროსთან შეჩერდნენ. სწყუროდათ თუ არა, მაინც დალიეს. მერე დავითმა მხრიდან აზიური გარმონი მოიხსნა და იქვე წყაროსთან სათითაოდ იცეკვეს, — თუ ვეღარ დავბრუნდით, ასეთები დაგვიმახსოვრეთო.

ასეთი ჩამრჩა მეხსიერებაში დავითი.

ოცდაექვსი წელი გავიდა მას შემდეგ.

ოცდამეშვიდე ახალ წელს ხვდება ჯარისკაცის სახლი პატრონის მოლოდინში...

* * *

ახალ წელს ქათამყიულისას გაიღვიძებს ჩემი პატარა სოფელი. შუბლნათელი დიასახლისები ჯალაბთ ადგომამდე აანთებენ კერაში ცეცხლს.

გაიღვიძებენ დიდ-პატარანი.

თაფლიანი ჯამით ჩამოუვლის ოჯახის დედა, სათითაოდ „ტკბილად დაბერებს“.

ყველაზე უმცროსი წყაროზე გაიქცევა, ჯერ ისევ დილაბინდში დედის გამომცხვარ კვერს მოუტანს და სთხოვს: წყაროვ, ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო.

წყაროს არავისთვის არ ენანება ბედი. ბიჭს სიმღერით აუვსებს კოკურას.

განთიადისას კარზე მიაკაკუნებს მეკვლე.

ოჯახის დედა თაფლიან ჯამსა და ბედის კვერს — გოგას შეაგებებს.

— კვალი ჩემი, ბედი — ბედნიერისა! ბევრი შეგმატებიათ, კვლავ ბევრი შეგმატოთ ახალმა წელმა და ახლის გამომცვლელმა! — დაილოცება გაღიმებული მეკვლე. მერე ბედის გოგას ზღურბლიდან ბუხრისაკენ სამჯერ გააგორებს. თუ წადმა დავარდა, გალაღდებიან — ოჯახის საქმეც წადმა წავაო. გახარებული მეკვლე გაღვივებულ ბუხართან მიიჭრება, მუგუზლებს ერთმანეთს შემოჰკრავს, ცეცხლს აანაპერწკლებს და დაილოცება.

— თქვენს ოჯახს ახალ წელს ემატოს, ემრავლოს ამდენი ბალღით, ამდენი ხარით, ამდენი ცხვრით, ამდენი ორფეხით და ამდენიც ოთხფეხით. გაგამრავლოსთ, გაგახაროსთ, იმ თოვლივით თეთრად დამიბერდით, ამ თაფლივით ტკბილად!

— ეგრემც შენ შენიანითა!

მერე საახალწლო სუფრასთან დასხდებიან და დიასახლისები ხინკლის დახვევას დაიწყებენ.

შუადღისას ტოლ-სწორები ერთურთს მოიკითხავენ, ახალ წელს მიულოცავენ. ყველა ოჯახში სუფრა დახვდებათ გაშლილი. უამრავი სადღეგრძელო ითქმება. ვის არ მოიგონებენ, ვის არ გაიხსენებენ. დავითის ტოლები გაიხსენებენ დავითს. ცოცხლებში არ გამოარჩევენ: აიშლებიან, საახალწლო ხონჩას აიღებენ, ჯარისკაცის სახლისკენ გაუკვალავ თოვლს გატეხენ, გაიბილიკებენ. საკეტში გაყრილ ჩხირს ამოაძრობენ, კარს გააღებენ. სახლს ახალ წელს მიულოცავენ, ზღურბლიდან ბუხრისკენ გოგას გააგორებენ. ისე გააგორებენ, ბედის კვერი აუცილებლად წადმა დადგება. მერე ბუხარში ცეცხლს აანთებენ, გაცივებულ კერას გაალივებენ, გაყინულ კედლებს გაათბობენ, აახმაურებენ, ჩაბნელებულ ფანჯრებს გააცინებენ.

ხონჩას წინ დაიდგამენ.

ჰიქებს შეავსებენ და შორს წასული ჯარისკაცების სადღეგრძელოს იტყვიან. მერე სიმღერასაც შემოსძახებენ — სახლს სიხარული დაებედებაო.

* * *

ასე იციან ჩემს პატარა სოფელში, სადაც უკანაფშავიდან ჩამოსახლებული ფშაველები ცხოვრობენ, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლობს მთებიდან ჩამოტანილი ძველებური, ლამაზი და უწყინარი ფშაური საახალწლო რიტუალები, სადაც ხელუხლებელი დგას ჯარისკაცის სახლი, დგას, როგორც უკვდავება.



დღისით და ღამით, ყოველგვარ ამინდში, წელიწადის ყველა დროს შეუფერხებლად მიჰქრიან ფოლადის მაგისტრალებზე სამგზავრო მატარებლები, მძიმე სატვირთო შემადგენლობები სახალხო-სამეურნეო ტვირთით.

ბევრი რკინიგზელი სამუშაოდან თავისუფალ დროს სწავლას ანდომებს. ამიერკავკასიის რკინიგზის 4 ათასზე მეტი რკინიგზელი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და საშუალო სკოლებში.

დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის, რკინიგზელებისათვის, რომლებიც საღამოს სკოლებში სწავლობენ, ყველა პირობებია შექმნილი ნაყოფიერი სწავლისათვის.

სურათზე: თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი **იოსებ ჯაფარაშვილი** და მემანქანის თანაშემწე თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის სტუდენტი **ნოდარ კაკაბაძე** ბიბლიოთეკაში მეცადინეობის დროს.

საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საქართველო მართლაც სამოთხეა

ამ რამდენიმე ხნის წინათ საბჭოთა კავშირში სტუმრად იყო დანიელი მწერალი **იენს ჯეკი იენსენი**, რომელიც საქართველოშიც გვეწვია. ქვემოთ გთავაზობთ იენსენის წერილს, რომელიც მან გამოაქვეყნა თავის სამშობლოში ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ.

◆

იენს ჯეკი იენსენი

ამბობს:

თუ მოსკოვში მატარებელში ჩაჯდები და ორმოცდაორი საათის განმავლობაში სამხრეთის მიმართულებით იმგზავრებ რუსეთისა და უკრაინის ნაყოფიერი, ზღვასავით თვალუწვდენელი სივრცეების გავლით, თუ „წყნარ“ დონსაც გადასერავ და შავი ზღვის გაყოლებით იცლი, საქართველოში მოხვდები.

უნდა გამოგიტყდე, რომ ამ ხანგრძლივი მოგზაურობის დასაწყისს არც თუ ისე დიდი ხალისით ვეწლოდით, მაგრამ საოცრად გაკვირვებულები დავრჩით, რადგან თურმე საბჭოთა კავშირში მატარებლით მოგზაურობა არა მარტო საინტერესო, არამედ ერთგვარად საყურეთსო დასვენების საშუალებაც ყოფილა. მოგზაურობის დაწყებიდან ადგილზე ჩასვლამდე ჭამის, ძილისა და ყბედობის მეტს არაფერს აკეთებენ. თანამედროვე ფართო ვაგონების ყველა კუპე ოთხსაწოლიანია, რომელიც ძალზე მოსახერხებელია დღე ჯდომისათვის, ღამით კი — ძილისათვის. დღეში რამდენჯერმე ცხელი ჩაით გიმასპინძლდებიან, ხოლო ვაგონ-რესტორანში ყველანაირი სასმელია.

რუსები ხალისით მობასი და გულღიანი არიან. მგზავრები ერთმანეთს მალე ეცნობიან. ისინი აუცილებლად გირჩევენ, რა უნდა ნახო მოგზაურობისას. თუ ორნი არიან, მათ შორის ატყდება დავა, რომელი ქალაქია უფრო ლამაზი — მოსკოვი თუ ლენინგრადი, ხოლო მესამე დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ საბჭოთა კავშირში ყველაზე ლამაზი ქალაქი კიევია.

როცა გაიგეს, რომ თბილისში მივდიოდით, ორ ქართველს სახე გაებადრა და შავი თვალები გაუბრწყინდა. გამოგვკითხეს — გვიყვარს თუ არა ცხარე საჭმელები, აი, ისეთი, პირს რომ გწვავს; მოგვწონს თუ არა ოქროსფერი ღვინო, გვსურს თუ არა ვნახოთ მთები, მწვერვალებით თითქმის ცას რომ ებჯინებიან. რახან ასეა, **ამბობენ** ისინი, თბილისი სწორი არჩევანია.

ლაპარაკი პოლიტიკაზე ჩამოვარდა. ჩვენი თანამგზავრები უამრავ კითხვას იძლევიან. ჩანს, გულისყურით ადევნებენ თვალს საერთაშორისო ამბებს. ბაქოელმა მუშამ იმდენი იცის ნატოს შესახებ და სკანდინავიის ქვეყნებში ცხოვრების პირობებზე, რომ იფიქრებ დანიაში ყოფილაო.

არა, დანიაში იგი არაა ნამყოფი. მაგრამ „ნამოგზაური“ მაინც არის კურსკიდან ბერლინამდე. ამ „მოგზაურობამ“ სამ წელს გასტანა, სანამ ნაცისტები არ გარეკეს საბჭოთა მიწიდან. მაშინ ზორბად მოხვდათ ფაშისტებს! ეგების ღირდა. ხანდახან გაიხსენონ მწარე გაკვეთილი, რათა ასეთი რამ კვლავ არ იწვნიონ. თანამოსაუბრე იღიმებოდა და არაფრით არ ჰგავდა მეომარს. მაგრამ იგი ჯარისკაცად ნამყოფი იყო, და თუ საჭირო გახდება, კვლავ ჩაიცვამს ფარაჯას. იგი საოცრად მომწადებია და მტკიცედ სწამს, რომ სამყარო უკეთესი უნდა გახდეს, ხოლო ადამიანები გაცილებით გონიერები; მშვიდობისმოყვარე ადამიანებს არ სჭირდებათ ომი.

საუბარში კეთილი ცისფერვალება მოხუცი ქალი ჩაერია. გვიამბო, რომ სამი ომის მომსწრეა: პირველი მსოფლიო ომისა, ინტერვენტთა შემოსევისა და მეორე მსოფლიო ომისა. „და ყოველთვის ინგრეოდა ქალაქები და სოფლები, იღუპებოდა მილიონობით ადამიანი. შემზარავი ამბავი იყო“, — ამბობდა იგი.

ომი სხვა მგზავრებმაც გაიხსენეს — უბრალოდ, — სიტყვა ძუნწად, უწუწუნოდ. უსმენ მათ და ხვდები, რომ ჩვენ, დანიელებმა, რუსებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები გადავტანეთ. დიახ, ომი ძალზე, ძალზე ძვირი უჯდება ხალხს. ვაკი გზაზე მიგრიალებენ მატარებლის ბორბლები. შორს, ძალიან შორს ჰორიზონტია. ეს უზარმაზარი სივრცე ოდესღაც ბრძოლის ველი იყო, სადაც ნაცისტთა ურდოებმა ყველაფერი გაანადგურეს. ისინი სწვავდნენ, ხოცავდნენ და უსირცხვილოდ ყოყოჩობდნენ თავიანთი რასისტული ბატონკაცობით, სადისტურად სტკბებოდნენ თავიანთი ავსაქმიანობით.

მაგრამ ამ უკიდეგანო ტრამალზე ყინვასა და გამჭოლ ქარს სად დაემალები! დიადი ბალხთა ხალხი არ ზოგავს მკვლელებსა და ფსიქოპატებს. სწორედ აქ გაანადგურეს ნაცისტები, აქედან გარეკეს ისინი ბერლინისაკენ, სადაც სამუდამო და სამარცხვინო დამარცხება იგიმეს.

ყოველ სოფელში, რომლებიც გზად გავიარეთ, ომში დაღუპულ მეომართა ძეგლებია აღმართული. უყურებ მათ და გახსენდება ჰიტლერის სიტყვები, დანიის საყოველთაო-სახალხო გაფიცვების შესახებ რომ თქვა წმინდა ნაცისტური თავგასულობით: „დანია მხოლოდ სატრანსპორტო პრობლემაა და მეტი არაფერი“.

ცნობილია, რომ ნაცისტები სატრანსპორტო პრობლემას ოსტატურად სჭრიდნენ ისეთი საბოლოო სადგურების წყალობით, როგორიცაა: ოსვენციმი, მაიდანეკი, ტრებლინკა.

დანიის, როგორც სატრანსპორტო პრობლემის ბედიც, მსგავსად გადაწყდებოდა, რომ წითელ არმიას არ დაემსხვრია ნაცისტთა დანაშაულებრივი სახელმწიფო. დიდია ჩვენი ვალი ბრძოლის ველზე დაცვმულ საბჭოთა მეომრების წინაშე — მათ ხომ დანიის არსებობასაც შესწირეს სიცოცხლე.

ამას მხოლოდ ის დაივიწყებს, ვისაც მეხსიერება ღალატობს. ამას მხოლოდ ის უარყოფს, ვინც მთლად სულელია. ყოველი სინდისიერი ადამიანი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით განიმსჭვალება იმათ მიმართ, ვინც სიცოცხლე შესწირა ფაშიზმთან ბრძოლას, აი, ისეთების მიმართ, როგორიც ეს ბაქოელი მუშაა.

რაც უფრო ვუახლოვდებით სამხრეთს, მით უფრო ადრე ბინდდება, თეთრი ღამეები დარჩა იქ, ჩრდილოეთში. შუადამე იქნებოდა, შავი ზღვის პირზე რომ გავედით. ზღვის მხარეს ვაგონების ყველა ფანჯარა ღიაა. ამ წყნარ ღამეს რუსებს ძილი არ ეკარებათ — ზღვის მზერით ტკბებიან. სიბნელეში ზღვა ცას უერთდება და ადარაფერი ჩანს. მხოლოდ ღელვით გამოწვეული ხმაური ისმის და ოდნავ არჩევ ტალღების თეთრ ქაფს. მატარებელი სულ რამდენიმე მეტრითაა დაშორებული სანაპიროსაგან. შორს სიბნელეში სამგზავრო გემის სინათლეები ციმციმებენ და საზეიმოდ განათებულ „ტივნოლს“ წააგავს. რუსებს ზღვის სილამაზე აღელვებთ. ბევრი მათგანი, შესაძლოა, პირველად ხედავს ზღვას. მათი ქვეყანა იმდენად დიდია, რომ შეიძლება დღეები და ღამეები იარო პირდაპირი გზით და ზღვა კი ვერ დაინახო.

მე და ჩემი თანამგზავრი ამერიკელი კუპეში ლუდს შევექცევით. აქა-იქ აკიაფდებიან ხოლმე მთების მოლურჯო-მოთეთრო მწვერვალები, მაღალი ძაბვის სადენებს ნაბერწკლები ცვივათ. მოსკოვთბილისის რკინიგზის ხაზი მთლიანად ელექტროფიცირებულია. შესაძლოა, ნავთობის ცისტერნებიანი სატვირთო მატარებლის უზარმაზარმა შემადგენლობამ, რომელმაც გვერდით ჩაგვიქროლა, გააბრაზა ამერიკელი. „ამ თვალუწვდენელ ქვეყანაში ერთ ჩამორჩენილ კუთხეს ვერ ნახავ, ამ კომუნისტებს ყველგან აქვთ ელექტროფიცირებული რკინიგზა, ელსადგურები და უნივერსიტეტები“... — ბუზღუნებს იგი.

უცებ სიცილი წამსკდა და ლუდის ქაფი სახეზე შემესხა.

— თუ კომუნისტები არ მოგწონთ, რატომ ჩამოხვედით აქ? — ეკითხება ჩემი მეუღლე.

— წა-ა-რმოიდგინეთ, — გაწელა სიტყვა ამერიკელმა. ძალიან მოსწონს აქ ყოფნა, მეგობრულად განწყობილ და მუდამ თანამგრძნობ ადამიანთა ცქერა. იგი კალეფორნიელი ვაჭარია. მძიმე სამუშაო აქვს. უკვე მეხუთედ ატარებს შვებულებას საბჭოთა კავშირში. პოლიტიკა სრულებით არ აინტერესებს. აქ მშვიდად გრძნობს თავს, გრძნობს, რომ კეთილ ადამიანებს შორის იმყოფება — ეს კი ყველაზე უებარი წამალია წყლულით დაავადებული მისი კუჭისათვის.

ამაში ამერიკელი მართალია. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში უდიდესი ცვლილება მოხდა. მოსკოვის ერთ-ერთ მუზეუმში ნახავთ 1930 წელს საბჭოთა კავშირში გამოშვებულ პირველ ტრაქტორს. დღეს კი კოსმოსური ხომალდების გაშვება ჩვეულებრივ ამბად იქცა; აქ რეაქტიული თვითმფრინავებით ისევე უბრალოდ დაფრინავენ, როგორც სხდებიან ქალაქის ავტობუსში, საბჭოთა კავშირი წამყვანი ქვეყანაა წარმოების ავტომატიზაციაში, მშვიდობიანი და სამხედრო მიზნებით ატომური ენერგიის გამოყენებაში. აქ ყველაზე მეტი ექიმი, ინჟინერი და ტექნიკოსია, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი უმაღლეს სასწავლებლებში იუფლება ცოდნას, გაივლის რამდენიმე წელი და საბჭოთა კავშირი ამერიკის მრეწველობას გაუსწრებს და მაშინ მსოფლიო ეკონომიკის ცენტრი სამუდამოდ აქ გადმოინაცვლებს. ამას საბჭოთა კავშირმა მიაღწია, მოუხდავად დიდი ნგრევისა. ეს არც სასწაულია და არც ჯადოქრობაა, ეს არის სოციალიზმის განვითარების დინამიკა.

დღეით რომ გამოვიღვიძეთ, მატარებელი ლურჯ მთებს შორის მიქროდა. კავკასიონის ქედის ზოგიერთი მარადთოვლიანი მწვერვალი ალპების მეფეზე — მონბლანზე მაღალია.

ჩვენ საქართველოში ვართ — საბჭოეთის ერთერთ სამხრეთულ რესპუბლიკაში. ჩვეულებრივ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს რუსებს ეძახიან. როცა საქართველოში მიემგზავრები, უნდა იცოდე, რომ საქართველო რუსეთი არ არის, თორემ შეიძლება იმ კატეგორიულ მდგომარეობაში ჩავარდეთ, რომელიც შოტლანდიაში ჩავიდა და სიხარული გამოთქვა — ინგლისში ვართო.

ქართველებს აქვთ საკუთარი ენა, ანბანი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ისინი საბჭოთა მოქალაქეები და კარგი კომუნისტები არიან. ისინი სათუთად უფრთხილდებიან თავიანთ ეროვნულ თავისებურებებსა და კულტურულ ტრადიციებს.

საუკუნეების მანძილზე ეს მშვენიერი ქვეყანა მაგნიტივით იზიდავდა სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებს. თავიანთი თავისუფლების დასაცავად ქართველები სასტიკ და სისხლისმღვრელ ბრძოლებს ეწეოდნენ რომაელების, თურქების, სპარსელებისა თუ მონღოლების წინააღმდეგ. მონღოლების შემოსევამდე ქართველები თორმეტი მილიონი ყოფილან, ახლა კი რესპუბლიკაში ოთხი მილიონიღაა.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში საქართველო რუსთა სახელმწიფოს შეუერთდა. ქართველთა მეფე რუს თავადიშვილად გამოცხადდა. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ კიდევ უფრო განამტკიცა ეს ძმური კავშირი.

ქართველებს უყვართ და მუდამ ამაყობენ თავიანთი ქვეყნით. არცთუ ისე ბევრია ქვეყნები, რომლებიც საქართველოს შეედრება ფერთა სიუხვით და ლანდშაფტის დიდებულებით, ხოლო ჯობნით, შეიძლება ითქვას, ვერც ერთი ვერ აჯობებს.

ბევრ პოეტს შეუსხამს ხოტბა საქართველოსათვის. რუსმა პოეტმა მაიაკოვსკიმ მოსწრებულად თქვა, რომ მისტიკური სამოთხისა არა სწამს რა, მაგრამ თუკი პოეტები სამოთხეს უმღერდნენ ოდესმე, ისინი, რასაკვირველია, საქართველოს გულისხმობდნენო.

ვაგონის ფანჯრებიდან წითელი ქვითა და ალბურით ნაშენი მტკიცე სახლები ჩანს. [illegible] სახლები მოჩანს.

თოვლივით ქათქათა მთიანი, მზემოკიდებული, ტანადი მამაკაცები დარბაისლურად სხედან დაბალ სკამებზე ვაზის ჩრდილქვეშ და ყალიონს აბოლებენ. ირგვლივ კი ცხვრები და ღორები ძრწენ. გრენლანდიური ნაგაზების მაგვარი ბომბორა ძაღლები მოხუცების ფეხებთან გაწოლილან და დრუნჩი ჩოხტად გადაჯვრედინებულ წინა თათებში ჩაურგავთ.

მატარებელი ხან ძიძა მთის ძირში მიდის და უკვე ველარ ვხედავთ მათ თეთრ მწვერვალებს, სამაგიეროდ მთის კალთებზე მწყემსები მოჩანან, რომლებიც ცხვრის დიდ ფარებს და კარგად ნასუქ ბასრრქებიან მთის მომცრო ძროხებს მწყემსავენ. მათ ბეწვიანი ქუდები ხურავთ. ქარდაკრული სახეები მეშის ტყავს მიუგავთ. ფეხზე მაღალყელიანი ჩექმები აცვიათ და მძიმე, განიერი ნაბიჯებით დადიან. ისინი უკვე რამდენიმე თვეა გზაში არიან. უკან მოუტოვებიათ კასპიის ზღვა, საიდანაც ამ ფარებს კავკასიის საზაფხულო საძოვრებზე მოერეკებიან. ფარებს მშვიდად მიჰყვებიან ფარდაგით, კარავებით და ჯამ-ჭურჭლით დატვირთული ჯორები.

ორი წლის მანძილზე მაქსიმ გორკიმაც ამგვარად იმოგზაურა კავკასიაში. ჯანსაღ, საინტერესო ცხოვრებას ეწევიან მწყემსები. შესაძლოა, თავად ისინი ასე არ ფიქრობენ. მაგრამ მშვენიერი მთები რომ მიატოვებინოთ, ქვაფენილიან და ბენზინის სუნით გაჟღენთილ ქალაქში დაასახლოთ, თავიანთი მთები ისე მოენატრებათ, როგორც ზღვას მოწყვეტილ მთევლებს უკიდეგანო ზღვა.

(დასასრული მე-7 გვერდზე).

სახელს იხვეჭს ჩვენი მეცნიერება

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველებს ესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. დვალი.

თანამედროვე პირობებში, როცა მეცნიერება წყვეტს დიდ ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ გულმოდგინე ექსპერიმენტულ გამოკვლევებს, შედეგების ხანგრძლივ შემოწმებას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. იგი განსაზღვრავს სამუშაოთა მასშტაბს, შრომატევადობას, წარმოებაში მათი დანერგვის ტემპს, უშუალო გავლენას ახდენს მეცნიერთა გამოკვლევების ეფექტიანობაზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები შემოქმედებითს ძიებას აწარმოებენ თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს მიმართულებით. მათ მიერ შესრულებულმა ზოგიერთმა გამოკვლევამ მაღალი შეფასება დაიმსახურა: სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა ნაშრომები მათემატიკაში, ფიზიკაში, ტექნიკაში, ბიოლოგიაში, ისტორიაში, არქეოლოგიაში, ლიტერატურაში; ნაშრომებს მათემატიკასა და საქართველოს ამიერკავკასიის უძველეს ისტორიაში მიენიჭა ლენინური პრემიები.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრად. ეს ბევრად განაპირობა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდამ. ახლა მას აქვს თანამედროვე შენობები და ნაგებობანი. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განვითარებას ხელი შეუწყო ექსპერიმენტული ბაზის გაფართოებამ, რომელიც აღჭურვილია უახლესი, მთელ რიგ შემთხვევებში უნიკალური ხელსაწყოებით, აპარატურითა და დანადგარებით.

მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ისეთი მძლავრი ბაზები, როგორიცაა ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორი, ბაკურიანისა და ცხრაწყაროს მაღალი მთის სადგურები კოსმოსური სხივების ფიზიკის შესასწავლად, რუსთაპირის მუდმივი ექსპედიცია ღრუბლების ფიზიკისა და სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების დარგში, მიწისქვეშა გრავიმეტრიული ლაბორატორია, ქიმიური ექსპერიმენტული ბაზა ლილოში, გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების საცდელი პოლიგონი.

მარტო უკანასკნელ წლებში აშენდა ფიზიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, ხელნაწერთა ინსტიტუტების ფუნდამენტალური სპეციალურად აღჭურვილი შენობები, მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორია და სხვა. ახლა იგება შენობები კიბერნეტიკის, გეოფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და ელექტროქიმიის, მანქანების მექანიკისა და პოლიმერული მასალების ინსტიტუტებისათვის.

სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის განვითარებაში, სულ უფრო გართულებული ექსპერიმენტებისათვის საჭირო სპეციალური მოწყობილობის შექმნაში დიდ შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ ინსტიტუტები, ხშირად საწარმოებთან თანამეგობრობით.

მაგალითად, ფიზიკოსებმა დუბნის ატომური გამოკვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტთან ერთად წარმატებით დაამთავრეს ნეიტრალური კ-მიუზონების გამოკვლევის სამუშაოები იმ აპარატურის დახმარებით, რომელიც შეიმუშავეს და შექმნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში. 1966 წელს ამ ნაშრომს მიეკუთვნა ატომური გამოკვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის პრემია.

ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს ბირთვული ნაწილაკების ახალი ტიპის დეტექტორი, რომელმაც ფართო აღიარება პოვა. დამუშავებულია უნიკალური დანადგარები — საკონდენსაციო კამერების, საიონიზაციო და ნაპერწკლოვანი კალორიმეტრების შექმნის მეთოდიკა, რომლებიც საშუალებას იძლევიან ვაწარმოოთ ბირთვული ურთიერთქმედების კვლევა მაღალი და ზემაღალი ენერგიების პირობებში. თბილისის რეაქტორზე პირველად არის დამუშავებული და გამოყენებული მძლავრი ინდიუმ-გალიუმის რადიაციული კონტური, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს ატომური რეაქტორის შესაძლებლობებს.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით — უნიკალური 33-სანტიმეტრიანი რეფრაქტორით და დ. მაქსუტოვის სისტემის მენისკური ტელესკოპით, რაც საშუალებას აძლევს მეცნიერებს განახორციელონ დაახლოებით 30 ათასი ვარსკვლავის „კლასიფიკაცია, გამოავლინონ რამდენიმე ასეული ახალი ემისიური ვარსკვლავი.

პირველხარისხოვანი ექსპერიმენტული ობიექტები აქვს გეოფიზიკოსებს. მათ შორისაა გეოფიზიკური ობსერვატორია, სეისმური სადგურების ფართო ქსელი.

მაგრამ დიდი ამოცანები, რომლებიც დღეს საბჭოთა მეცნიერების წინაშეა დასახული, გამოკვლევების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის აუცილებლობა მოითხოვენ აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური და ექსპერიმენტული ბაზების შემდგომ განმტკიცებას და განვითარებას.

მეცნიერების ზრდა სულ უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს ნაყოფიერი და ეფექტიანი გამოკვლევების მოწყობას. საძიებო სამუშაოებთან, მეცნიერული „მარაგნამეტის“ შექმნასთან ერთად უნდა განვამტკიცოთ მეცნიერთა კავშირი წარმოებასთან, შევქმნათ მეცნიერების კარგად აწყობილი და შეუფერხებლად მოქმედი ბაზა.


არაბი მეტეოროლოგები საქართველოში

„ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გამოკვლევების მასშტაბმა ჰიდრომეტეოროლოგიის დარგში და მიღებული შედეგების პრაქტიკულად გამოყენებამ ამიერკავკასიის პირობებში“, — ასეთი შეფასება მისცა ქართველ მეტეოროლოგთა მეცნიერულ ნაშრომებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეტეოდეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოადგილემ მუჰამედ გედაბმ. ამავე დეპარტამენტის ხელსაწყოთა სპეციალისტ ა. ს. ჰალილთან ერთად იგი სამ დღეს ეცნობოდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს მუშაობას.

სტუმრების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქართველ სპეციალისტთა გამოკვლევებმა ატმოსფეროს ფიზიკის შესწავლის დარგში. ისინი დაინტერესდნენ, განსაკუთრებით კავკასიაში წარმოშობილ ატმოსფერულ პროცესებზე ადგილის რელიეფის გავლენის აღრიცხვის მეთოდიკით და ამინდის პროგნოზის რიცხობრივი (მათემატიკური) მეთოდებით.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან ჩამოსულმა სტუმრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში შეძენილ გამოცდილებას სამშობლოში გამოიყენებენ.





ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა სოფელში სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეს.

წელს მაიაკოვსკის რაიონის მცხოვრებლებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. რაიონულ ცენტრში დამთავრდა მშენებლობა და ექსპლოატაციაში გადაეცა 240 საწოლიანი ცენტრალური საავადმყოფოს ოთხსართულიანი შენობა.

ახალი საავადმყოფო აღჭურვილია უახლესი სამამულო სამედიცინო მოწყობილობით. საავადმყოფოს აქვს ქირურგიული, ფიზიო-თერაპიული, რენტგენოლოგიური და სხვა განყოფილებები. საავადმყოფოს შენობაში განლაგებულია რაიონული პოლიკლინიკა.

სურათებზე: ახალი საავადმყოფოს საერთო ხედი; საავადმყოფოს რენტგენოლოგიურ კაბინეტში.

გიორგი და ელენე

პაპაშვილები

ნოეს წყალობით

ნაწყვეტები წიგნიდან

13.

ქალი აკივლდა და გაიქცა, მაგრამ ბელტს ფეხი წამოკრა დაეცა და არც კი ეცადა წამომდგარიყო. კივილი კი არ შეუწყვეტია: ცოფიანი ბუღა! გიჟი ბუღა! დაიჭირეთ! შემდეგ ქედანას უბრძანა — ეცი!

ქედანამ ისე გაიხარა, როგორც ყველა ამ მდგომარეობაში მყოფი კავალერი გაიხარებდა. მას შესაძლებლობა მიეცა იოლად მოეხვეჭა გმირის სახელი. ქედანა ძროხას ეცა და გვერდზე გაჰკრა კბილი. ძროხა გაიქცა, ქედანა დაეწია და კიდევ უკბინა.

რაღა თქმა უნდა, ჩემი მეზობელი (ძროხის პატრონი) ცოტა არ იყოს გამინაწყენდა, მაგრამ მასთან დიდი ბოდიში მოვიხადე და, ძროხა რომ განიკურნა, ბეითალი გავუსტუმრე. ასე რომ მეზობელი ბოლოს კმაყოფილიც კი დარჩა. მაგრამ თითო არამკითხე მოამბე ყველგან უნდა იყოს, და ერთი ამისთანა თურმე ჩვენს სამეზობლოშიც ყოფილა. მან ჩვენი ამბავი გაიგო და თუმცა არც ძროხა იყო მისი, არც ძაღლი და არც მინდორი, მეორე დღესვე მუშტების ქნევით, გაცოფებული მოიჭრა ჩემთან:

— ის შენი ძაღლი უნდა მოიკლას. ძალიან ბოროტია!

— იგი შეცდა, — ვუთხარი მე, — მეც ხშირად დამმართნია ასე. ალბათ თქვენც შეგშლიათ რაიმე.

— საშინელი საქმე ჩაიდინა!

* დასასრული. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 21, 22.

14.

— გეთანხმებით, მაგრამ მეც დამნაშავე ვარ. როცა ძაღლი რაიმეს აშავებს, ცხოველს კი არა, პატრონს უნდა დასდოთ ბრალი.

სწორედ ამ დროს ეზოში მელას დედა გამოვიდა. მეზობელი ახლა იმას ეცა.

— იცით, რომ იმ ძაღლმა შეიძლება თქვენი შვილი შეჭამოს?

მელას დედამ ღიმილით გააქნია თავი და უპასუხა, არა მგონიაო.

— ეს სასაცილო საქმე არ არის. ცხოველი რომ სისხლის გემოს გაიგებს, აღარ გაჩერდება, არავის მოეხათრება. ვინ იცის, აი სწორედ ახლა ის ძაღლი ჩასაფრებულია, პირიდან ქაფი გადმოსდის...

— რა თქმა უნდა არა, — შეეკამათე მე, — ჩემი ძაღლი გრძნობს, რომ სამარცხვინო საქმე ჩაიდინა და ახლოს აღარ გვეკარება. გომურში იქნება ან ღობის ძირას. ქედანა! ქედანა!

— პირიდან ქაფი გადმოსდის, განაბულია და ნახტომისათვის ემზადება, — განაგრძო მეზობელმა.

— ქედანა! ქედი! — კვლავ დავიძახე მე.

სახლის კუთხიდან მელა გამოვიდა. წინ თოჯინას ეტლს მოაგორებდა.

— ქედანა არ გინახავს? — ჰკითხა დედამისმა.

მე ახლა სტვენით მოვუხმე ძაღლს.

მელამ ეტლი ააყირავა. ეტლიდან ქედანა ამოძვრა და თითქმის ხოხვით წამოვიდა ჩვენკენ. იგი ისე იყო დარცხვენილი, როგორც თავმოყვარე ძაღლს შეეფერება. არც იყო გასაკვირველი — მას ყურებამდე ჰქონდა ჩამოფხატული ვარდისფერი აბრეშუმის ქუდი. ქუდის ბაფთები ნიკაპთან ჰქონდა შესკვნილი, ტანზე ყვავილებით მოჩითული კაბა ეცვა, წინა ფეხები კაბის ფაშფაშა სახელოებში ჰქონდა ჩადგმული, უკანა ფეხებზე კი ნაქსოვი, პომპონებიანი ფაჩუჩები ეცვა. არამკითხე მოამბე შეტრიალდა და ტყვიასავით გავარდა ეზოდან. იგი ახლა უფრო გაცოფებული ჩანდა, ვიდრე მაშინ, როცა ეზოში შემოვიდა, თუ კი შეიძლებოდა, რომ კაცი უფრო გაცოფებული ყოფილიყო.

— გახადე ეგ ტანსაცმელი, — უთხრა მელას დედამისმა, — შენ ისეთი შეურაცხყოფა მიგიყენებია, სპილოსაც რომ უკბინოს, ვერ გაამტყუნებ.

ამის შემდეგ ქედანას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ხანდახან აივნის სავარძელში ჩაიძინებდა ან ძვალს ტულიპების კვალში დამარხავდა ხოლმე. ქედანას ჭაბუკური გზნება ჩაეფერფლა და დროც იყო — მას უკვე ცამეტი მშვენიერი ლეკვის მამა ერქვა. ბუნებრივია ქედანა თითით საჩვენებელი ძაღლი უნდა ყოფილიყო, რომ ლეკვებს მისგან აეღოთ მაგალითი.

მურა ძალიან ამაყობდა შვილებით. (ასეთია ყველა დედის ბუნება). იგი გამუდმებით ლოკავდა და აპრიალებდა თავის პატარებს და ყველა საჭირო საფეხური გაატარა — სველი ვირთაგვებით დაწყებული ფუმფუცა დათვის ბელამდე, დათვის ბელებიდან ლომის ბოკვერებამდე და ბოლოს მურამ, როგორც იქნა, მათგან პატარა ძაღლები გამოიყვანა. მერე და რა თვალწარმტაცი ძაღლები!!

აქამდე მეგონა, რომ ლეკვები თავისით სწავლობდნენ თამაშს, თანაც მხოლოდ გასართობად: არ ვიცოდი, რომ ლეკვებს თურმე დედები ასწავლიან თამაშს, რომ ისინი ძლიერი, მკვირცხლი, მამაცი და უწყინარი გაიზარდონ.

მურამ იცოდა თავისი საქმე. ეზოში ერთი ვაი-უშველებელი იდგა ბურთის ხე-

15.

ლში ჩასაგდებად — სირბილი, ხტუნვა, ქაჩვა, ჯიკაობა, კოტრიალი — ერთი სიტყვით, ყველაფერი, ოღონდ ის სანუკვარი ბურთი დაესაკუთრებინათ. ლეკვები ხან მურას მუცელქვეშ დახოხავდნენ და ბურთის მოპარვას ცდილობდნენ, ხან უკანა ფეხებზე აიმართებოდნენ და დედას პირიდან გლეჯდნენ ბურთს.

მურა ათასნაირად იგრიხებოდა, ხან აქეთ გავარდებოდა, ხან იქით, ახლა რომ ლეკვები მისდევდნენ უკან, მეორე წამს თვითონ დაირეკავდა მათ წინ. გეგონებოდა შეჯიბრებას ჭიდაობასა და სირბილში უყურებდი და თანაც ამ შეჯიბრებაში შიგადაშიგ ფეხბურთიც იყო ჩართული, რათა სანახაობა უფრო ცოცხალი და მიმზიდველი გამხდარიყო.

„გამოხტომა“ საღამოს თამაში იყო. როცა დაბინდდებოდა და მიწაზე გრძელი ჩრდილები დაწვებოდნენ, მურა მიწას გაეკვრებოდა და ხოხვით გასწევდა წინ. მერე ადგილზე გაშემდებოდა, (მარტო დაჭიმული კუნთები უცახცახებდა), ბოლოს კი მოულოდნელად გადახტებოდა წინ. ასე ასწავლიდა იგი ლეკვებს „გამოხტომას“.

შვილები უხეშად ბაძავდნენ დედამისს, მაგრამ მურა მაინც უწონებდა. ლეკვები ტრიალ მინდორზე აქა-იქ ამოწვერილ ბალახის ღეროებს ეფარებოდნენ და მიპარვას იწყებდნენ. მურა ვითომ ვერ ამჩნევდა მათ და როცა „მტრები“ მოულოდნელად დააცხრებოდნენ თავზე, მურა ძალიან გაოცებული გაერთხმებოდა ხოლმე მიწას.

ღამით, უკვე ოთახში, ცეცხლის პირას, იწყებოდა წარმოდგენა — რომელიმე ლეკვი მურას ტუჩზე დაეკიდებოდა, ქვევით ექაჩებოდა, ცხვირზე კბენდა და ბასრ ბრჭყალებს თვალებში ჩრიდა.

მურა ყველაფერს ითმენდა. არ მახსოვს, რომ ამ დროს მას ლეკვი დაეკბინოს ან დაეტუქსოს. იგი მიწაზე გაწვებოდა, რომ შვილები მიწვდომოდნენ, ლეკვებს მიწაზე აგორავებდა, მათ პატარა თავებს მთლიანად იდებდა თავის უზარმაზად პირში, პატარა თათებს თავის ვეება თათებში იქცევდა, დრუნჩს დრუნჩზე ადებდა, უდრენდა და ჯბილებს უჩვენებდა. საოცარი ის იყო, რომ მურა ლეკვებს არც კი გაკაწრავდა ხოლმე. ამით იგი აჩვენებდა მათ, თუ რა უნდა ისწავლონ, ვიდრე ნამდვილ ძაღლებად იქცეოდნენ — მურას აზრით ძაღლი ძლიერი, მაგრამ უწყინარი უნდა ყოფილიყო.

ეს ყველაფერი თუმცა ძალიან მართობდა, მაგრამ ხომ არ შემეძლო მთელი ცხოვრება მათ ცქერაში გამეტარებინა. მე ფული უნდა მეშოვნა ჩემი ფერმის შესანახად.

მეურნეობა დიდი ხათაბალა რამაა. ყოველთვის რაღაცა გაკლია: ხან მიდვრები უნდა დამეწრიტა წყლისაგან, ხან სამზარეულოში უნდა გამომეყვანა წყალი. თივა კარგ შემოსავალს იძლეოდა, მაგრამ ორი იმდენი იონჯას დათესვას უნდოდა.

ზოგი შინაური მსხვილფეხა ცხოველი დიდ შემოსავალს იძლევა, ამიტომ ცხოველების მოშენება გადავწყვიტე, რომელიმე დიდშემოსავლიან ცხოველისა. მარტო ისინი თუ გამომიყვანდნენ გაჭირვებიდან. კარგად ავწონ-დავწონე ყველაფერი და არჩევანი ინდურ ზებუზე შევაჩერე. ღონიერი ქედითა და ბეწვიანი მკურდით ისინი იმ კამჩს მაგონებდნენ, სამშობლოში რომ დავტოვე. რა კარგი

16.

იქნებოდა ჩემს ეზოში რამდენიმე ზებუს რომ ესეირნა. მათი ყურება არასოდეს არ მომბეზრდებოდა.

მაგრამ ამ საქმეში დასაბანდებლად მხოლოდ 150 დოლარი მქონდა და ძალიან მალე გამოვარკვიე, რომ ეს ფული ნამდვილი ზებუს მარტო უკანა ფეხებსა და კუდს თუ იყიდდა. იგი არც შინშილას მოსაშენებლად მეყოფოდა, არც დოღის ცხენებისა და არც წაულასი. ამ თანხით ერთ სამუშაკ ხარვერსაც ვერ ვიყიდდი. ერთი სიტყვით ჩემი ფულით რაიმე საინტერესო საქმის წამოწყება არ ხერხდებოდა.

ბოლოს ცხვრებზე შევაჩერე არჩევანი. გაზაფხულზე შემწვარი ბატკნები გვექნებოდა, ზამთარში შალის ტანსაცმელი და გარდა ამისა, კონდრის გაკრეჭვის ფულიც დაგვეზოგებოდა. ერთი სიტყვით, ცხვარი შესანიშნავი, ყოველმხრივ სასარგებლო ცხოველია.

ყოველშემთხვევაში მე ასე მეგონა.

ორი და ვიყიდე, რომ ერთად უფრო მხიარულად ყოფილიყვნენ. ერთს ჯულია დავარქვი, მეორეს კი სახელი არ ეცირსა, რადგან მეორე დღესვე მოკვდა.

სამი კვირის შემდეგ, მარტის სუსხიან დღეს ჯულიამაც თქვენი ჭირი წაიღო. მან ნაადრევად დაბადა ბატკანი თოვლის ბორცვის ძირას. მე მგონია, იმ ცხვრებს თავიდანვე რაღაც ავადმყოფობა ჭირდათ.

ახლა ობოლი ბატკანიღა შემრჩა ხელთ. შინ რომ მივიყვანე, ელენემ ღუმელის ქვეშ ყუთი დაუდგა, შიგ ჩასვა და რძე დაალევინა საწოვარით, მაგრამ ბატკანს ძვლებში ნამქერის სუსხი გაჯდომოდა და ვეღარა თბებოდა. მურას ამ დროს პატარა, ექვსი კვირის ლეკვები ჰყავდა. ბატკანი ადვილად შეეპარებოდა ლეკვებში. მურა ჯერ გაოცდა და ცხვირით გულდასმით გამოიკვლია ახალი ლეკვი — ფერდები მოუსინჯა, ყურები შეუმოწმა და ყველაზე მეტი ნალისმაგვარ ჩლიქებსა და ბრტყელ კუდს უკირკიტა. ბოლოს, როგორც იქნა, ბეღს შეურიგდა და გულმოდგინედ დაუწყო ლოკვა. მურა ძალიან ცდილობდა ბატკნისაგან გერმანული ნაგაზი გამოეყვანა.

ამის შემდეგ ჩვენ აღარაფერი გვევალებოდა. მხოლოდ ეგ იყო, დღეში რამდენიმე ბოთლი თბილი რძე უნდა მიგვეცა სანამ წამოიზრდებოდა და ღეჭვას ისწავლიდა. დანარჩენი მურას საქმე იყო და მან ბატკანი ნამდვილ, წესიერ ლეკვად აქცია.

მურას ლეკვებიდან მარტო ერთი შავრუხა ძუ დავიტოვეთ — ძალიან ლამაზი რამ იყო, ისე კოხტად ჰქონდა ქურქი წამოსხმული, რომ გეგონებოდათ კლდეზე ნაკადული ჩამორბისო.

ჩვენი პატარა მეგობარი — მელა მეორედ სწორედ მაშინ გვეწვია, როცა ამ ლეკვისათვის სახელს ვარჩევდით. რადგან სახელი პატივცემულმა პიროვნებამ უნდა აარჩიოს, ეს საქმე მელას მივანდეთ.

— შემიძლია რაც მინდა ის დავარქვა? — იკითხა მელამ.

— რაც გინდა, შენი ნებაა, — დავამშვიდე გოგონა.

— და რასაც ვიტყვი,ნამდვილად, ულაპარაკოდ მისი სახელი იქნება? სიტყვას მაძლევთ?

მე სიტყვა მივეცი.

17.

— მაშინ ჩემ სახელს ვარქმევ — მელას.

ამან ცოტა არ იყოს არეულობა შემოიტანა. ვერავინ ხვდებოდა რომელ მელაზე იყო ლაპარაკი. დაძახებაზე ხან ორივე მოდიოდა, ხან არცერთი. ბოლოს მელას დედამ გვიხსნა — ერთს მელა-ბავშვი დაარქვა, მეორეს მელა-ძაღლი. საქმე მოგვარდა, მაგრამ მალე ახალი უხერხულობა გაჩნდა. იმავე გაზაფხულის დასაწყისში ელენემ და მელა-ბავშვის დედამ ტყეში გაისეირნეს. როცა ერთ ადგილას შეჩერდნენ, გვერდიდან რაღაც ჟღურტული მოესმათ, მაგრამ ჩიტი ვერსად დალანდეს. უცებ ხის ფუღუროში ორმა ოქროსფერმა თვალმა გაიელვა. ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ ქალებს. ელენემ და მელას დედამ სწრაფად ჩაიჭვრიტეს ფუღუროში. იქ თურმე მურგვივით დახვეული დედალი მელა წოლილა ორი წრიპინა ლეკვით.

მელა-ბავშვი შეწუხდა, რადგან ყველა სახელი დახარჯული ჰქონდა და ახალი მეგობრისათვის აღარაფერი დარჩენოდა. თავისი დანაშაულის გამოსასყიდლად მელა-ბავშვი ფეხაკრეფით მიდიოდა ხოლმე ხესთან და მელასთან კვერცხები, ყურძენი და პური მიჰქონდა. მელა ძღვენს ხან იღებდა, ხან არა.

ერთ დღეს მელა-ბავშვი მხიარული მოვიდა შინ.

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა მან, — მე უკვე მოვიფიქრე სახელი. მას მელა-მელა ერქმევა.

მაგრამ მელა-მელა უმადური გამოდგა. როგორც ჩანს თვალში არ მოვუვედით, რადგან ერთ დღეს ფუღუროო ცარიელი დაგხვდა — მელა-მელა თავის ლეკვებიანად გაპარულიყო.

მელა-მელა მეორედ ძალიან დიდი ხნის შემდეგ ვნახეთ...

სამაგიეროდ მელა-ძაღლი ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი. იგი იმთავითვე უწყინარი და მოსიყვარულე ლეკვი ჩანდა და, ცოტა არ იყოს, ზედმეტად კარგი დედგა — მეტისმეტად დამჯერი და წყნარი. მისი სამყარო მცირე იყო: მელა-ბავშვი და ჩვენ. როცა მისი და-ძმები წავიდნენ, მელა-ძაღლი და ბატკანი ძალიან დამეგობრდნენ. ისინი სულ ერთად იყვნენ, მინდორში დარბოდნენ, ერთად დადიოდნენ ნაკადულზე, ერთმანეთს ბაღის დასარბევად აქეზებდნენ, ერთმანეთს უჯიკავებდნენ, ეკეჩებოდნენ, უცერად საფარიდან გამოხტებოდნენ და უკანვე გარბოდნენ. ბატკანი კბენაზე რჩოლვით პასუხობდა და როცა დაღამდებოდა და მელა-ძაღლი და ბატკანი ერთ ყუთში ჩაწვებოდნენ დასაძინებლად, ერთმანეთის ვაღი უკვე გასტუმრებული ჰქონდათ.

ასე რომ ჩემს გარდა ყველა ბედნიერი იყო.

ჯერ ერთი, რა გამორჩენა უნდა მჭონოდა? რაღათქმა უნდა ბატკანს უკვე ვეღარ შევჭამდი. ლანგრით რომ მოეტანათ, შემწვარი და ჩლიქებზე ქაღალდის ბურბუშელა შემოხვეული, იმის ხორცზე ისე არ მიმივიდოდა გული, როგორც მელა-ძაღლისაზე.

გარდა ამისა ჩემი ბატკანი სულ სხვანაირი იყო. იგი არასოდეს არა სძოვდა ბალახს. ვარდის კოკრები გახლდათ მისი სანუკვარი საჭმელი და როცა ისინი მოილეოდა, სხვა რომელიმე დეკორატიულ ბუჩქს გეახლებოდათ.

ამაზე უარესი ის იყო, რომ ვერაფრის გასაკეთებლად ვეღარ ვიცლიდი. მთელი დღე მოსვენება არა მჭონდა გამვლელებისაგან. ისინი მანჭანით შემოდიოდნენ

18.

ეზოში, და გაოცებულები შემომძახებდნენ ხოლმე: „ღმერთო დიდებულო! თქვენს მინდორზე ცხვარი ძაღლს დასდევსო“. ჩვეულებრივ ორიოდე ჭიქა ღვინო იყო საჭირო, რომ ეს ხალხი გონზე მომეყვანა.

როცა ძაღლები ყეფით გავარდებოდნენ ვინმეს შესახვედრად, ბატკანიც ბღავილით მისდევდა უკან და ესეც ვრცელ ახსნა-განმარტებას მოითხოვდა, რადგან ხალხი მხოლოდ მცველ ძაღლებსაა მიჩვეული.

ბატკანი ცხვრების ბღავილის გავონებაზე გაოცებით მიიხედავდა ხოლმე — ალბათ საკუთარი ხმის გამოძახილი ეგონა. შემდეგ თანდათან საძოვარზე გამოსული ცხვრების ჭორაობასაც დაუწყო ყურის გდება. იგი უკვე აღარ იცდიდა ეზოში: მინდორში გადიოდა და ცხვრებს ათვალიერებდა.

მელა-ძაღლი ცდილობდა გამოეფხიზლებინა ბატკანი. ირგვლივ ურბენდა, ცხვარში ნამჯას სჩრიდა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

ერთ დღეს ყოჩი ფარას გამოეყო და ღობესთან მდგარ ბატკნისაკენ გამოეშურა. მისი დანახვა ერთ რამედ ღირდა: თავს ამაყად იქნევდა, რქებზე მზის სხივები ერეკლებოდა. ბატკანმა გამოუშვიდობებლად მიგვატოვა! ღობის მავთულზე დარჩენილმა ხუჭუჭა თივთიკმა გვამცნო მისი გზა-კვალი.

რაღა გაეწყობოდა. ბატკანი ზურკერს მივეცი იმ პირობით, რომ სანამ ცოცხალი ვიქნებოდით, ყასბის ხელში არ ჩაეგდო.

პირველ ხანებში მელა-ძაღლი ღობეს გადაევლებოდა და მეგობართან მიირბენდა ხოლმე — უნდოდა როგორმე შინ დაებრუნებაზე დაეყოლიებინა, რომ კვლავ ეთამაშა მასთან. მაგრამ ბატკანი მთლად ცხვრად ქცეულიყო — იგი ფრთხებოდა და წუწუნებდა: „ვაიმე, უიმე, ნეტა ცოცხალი არ ვიყო, არ მომეკარო, თორემ ვიკივლებ!“ ძაღლის ყეფა ძალიან აღიზიანებდა ბატკანს, ყოჩიც ბრაზობდა, მიწაზე ფეხებს აბაკუნებდა და მელა-ძაღლმა ბოლოს ხელი აიღო თავის განზრახვაზე.

ერთხელ, დიდი ხნის შემდეგ, როცა ორივენი ხანში შესულები და დარბაისლები იყვნენ, მათი შემხვედრითი შეხვედრის მოწმე გავხდი.

მე ღობეს ვამოწმებდი, მელა-ძაღლი გვერდით მომდევდა. ღობის ბოლოს, სადაც ჩემი მიწა მეზობლისას ემიჯნებოდა, ჩვენი ბატკანი დავინახეთ. იგი მცირე მანძილით დაშორებოდა ფარას და ბალახობდა. მელამ ერთხელ დაიყეფა. ცხვარმა ზევით აიხედა, ღობეს მოადგა და თავი შემოჰყო. მათ ცხვირი ცხვირზე მიადეს ერთმანეთს და რამდენიმე წუთს უხმოდ იდგნენ. შემდეგ ცხვარი კვლავ სამყურას მიუბრუნდა, მელა-ძაღლი კი მე გამომყვა. ძალიან ხშირად ვფიქრობდი, ნეტა იმ დროს რა იგრძნეს მეთქი. იქნებ იმ სუსხიანი რიჟრაჟები გაიხსენეს, როცა მათი მკვირცხლი ფეხები დართვილულ ბალახებს თელავდნენ. ან იქნებ იმ ბედნიერ დღეებს იგონებდნენ, ბაღში მწიფე ვაშლებს რომ სტაცებდნენ ერთმანეთს და ბურთებივით აგორავებდნენ. ან, ვინ იცის, კვლავ განიცადეს ახალ თივაში თვლემისა და გამოღვიძების სიტკბო და ნეტარება...

არა, მე არ ვიცი რაზე ფიქრობდნენ ისინი ამ ბოლო შეხვედრის დროს. ეს იმათი საიდუმლო იყო და არც არასოდეს გაუმხელიათ.

თარგმანი ინგლისურიდან **ანდუყაფარ ჭეიშვილისა.**

საქართველო მართლაც სამოთხეა

(დასასრული).

მოულოდნელად არწივი გამოჩნდა. იგი მძიმედ და ზვიადად თავს დასტრიალებდა მთის მწვერვალებს. ის იყო დურბინდი ავიღე და თვალზე მოვირგე, რომ ნავთობცისტერნებიანმა გრძელმა შემადგენლობამ დაფარა ხედი. როცა უკანასკნელი ვაგონის ბორბლების ხმაური მიწყდა, არწივი უკვე აღარ ჩანდა.

თბილისში ვაგზალზე გულთბილად შეგვხვდა ცნობილი და პატივცემული ქართველი პოეტი იოსებ ნონეშვილი.

მაღალი კლდიდან თბილისს დაჰყურებს ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალის ქანდაკება. მას ერთ ხელში ძირს დაშვებული ხმალი უჭირავს, მეორეში კი — ზეაღმართული თასი. ეს სახე თავისუფლებისმოყვარეობისა და სტუმართმოყვარეობის სიმბოლოა.

ქართულ სუფრაზე გაბატონებულია ძველებური შესანიშნავი ტრადიციები. პირველ სადღეგრძელომისალმებას მასპინძელი წარმოთქვამს. თარჯიმნის პირით გვთხოვეს სასმისები დაგვეცალა. მალე მასპინძელი ისეთივე მშვერმეტყველებით წარმოთქვამს ახალ სადღეგრძელოებს — ხანგრძლივ ბედნიერ სიცოცხლეს უსურვებს მანდილოსნებს, ბავშვებს, სუფრასთან მსხდომთ.

ვახშამზე ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და პოლიტიკაზე, ქართველები ნიჭიერი ორატორები არიან. მათ, საუბრის გარდა, კარგად მოსმენაც შეუძლიათ. ისინი კარგად იცნობენ დანიურ ლიტერატურასა და თვითონ დანიას, სამაგიეროდ ჩვენი ცოდნა საქართველოსა და ქართულ კულტურაზე ძალზე ღარიბია. სირცხვილი ვჭამეთ ჩვენ და არა მათ.

ყავისა და კონიაკის შემდეგ — სხვათა შორის ქართული კონიაკი არაფრით არ ჩამოუვარდება ფრანგულს — წარმოითქვა დანიის, საქართველოსა და დიადი სოციალისტური სამშობლოს (ასე უწოდებენ ქართველები საბჭოთა კავშირს) კეთილდღეობის სადღეგრძელო.

მას შემდეგ, რაც შეისვა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვების სადღეგრძელოები, მასპინძელი ელის, რომ სტუმარიც წარმოთქვამს რამდენიმე გულთბილ სიტყვას. თამადის ნებართვით — ის კი უარს არასდროს გეტყვით — შემდგომ სადღეგრძელოს სტუმარი წარმოთქვამს. ქართველები ღვინოს უთავბოლოდ როდი სვამენ. მათი აზრით, მოწიფულმა კაცმა ისე უნდა დალიოს, რომ გონება არ დაკარგოს და მშვერმეტყველების უნარიც შეინარჩუნოს. შუადამეს ზომიერად დავასრულეთ ჩვენი ნადიმი. ვემშვიდობებით ერთმანეთს დილამდე.

ქართველები თავიდან ბოლომდე დარბაისლურად ილხენენ. დავრწმუნდით, რომ ქართული სტუმართმოყვარეობა — ეს საუკუნეების მანძილზე ნაცადი უძველესი ტრადიცია არის, და ამიტომ არასოდეს გაქრება.

თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, 1500 წლისაა; მასში ცხოვრობს 750 ათასი კაცი. ქალაქი ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, განლაგებულია ქვაბულებში და ირგვლივ გარს არტყია მთები. მდინარე მტკვარი მას ორ ნაწილად ჰყოფს.

ქალაქში არის ჩრდილიანი ხეებით დამშვენებული ფართო ბულვარები. თანამედროვე არქიტექტურა აქ გაბედულად ერწყმის მშვენიერ ძველ შენობებს. ქალაქში არის ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, სასოფლო-სამეურნეო აკადემია, თერთმეტი უმაღლესი სასწავლებელი — მათ შორის უნივერსიტეტიც; არის მუზეუმი, თეატრები და საუკეთესო სასტუმროები. თბილისი სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რასაც უყენებენ თანამედროვე ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყნის დედაქალაქებს. სილამაზით კი მსოფლიოს არცთუ ისე ბევრი ქალაქი შეედრება მას.

საღამოობით რუსთაველის პროსპექტი სავსეა მოსეირნე ხალხით. ქართველი ვაჟები მაღალი, ტანადი და შავგვრემანები არიან. მათ სახის მკვეთრი ნაკვთები და ოდნავ კეხიანი ცხვირი აქვთ; უმრავლესობა კოხტად შეკრეჭილ ულვაშებს ატარებს. იცვამენ უკანასკნელ მოდაზე — ვიწრო შარვლებსა და თეთრ ხალათებს. ძალზე ელეგანტურები და საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსენი არიან, მშვენივრად იციან, თუ კი კინოსტუდიაში მივლენ, პირველი მიჯნურის როლზე უარს არ ეტყვიან. ქართველი ქალები ლამაზები და ნაზები არიან. თბილისში ჩასულმა ჩრდილოეთელმა კაცმა სისხლის წნევას უნდა ადევნოს თვალი და იმარჯვოს, რომ აქეთ-იქით მზერით კისერი არ იღრძოს. მგონი, მუსიკოსი უნდა იყო, რომ გადმოსცე ის მღელვარე, კეთილად ამაფორიაქებელი შთაბეჭდილება, რასაც ქართველი ქალები ახდენენ.

მაიაკოვსკი მართალია: საქართველო მართლაც სამოთხეა. სამოთხე, სადაც ახლა მძლავრად ვითარდება მრეწველობა და მეცნიერება. საქართველო მდიდარი ქვეყანაა. იგი მთელ საბჭოთა კავშირს ამარაგებს ჩაით, თამბაქოთი, მშრალი ღვინით, შამპანურით თუ კონიაკით და, რასაკვირველია, სამხრეთული ხილით. საქართველო ლურჯი მთების, ოქროსფერი ღვინის ქვეყანაა. იქ ტემპერამენტიანი და ამაყი ხალხი ცხოვრობს. ვისაც თუნდაც ერთხელ უგემნია ქართული სტუმართმოყვარეობა, სამუდამოდ თან დაყვება ერთი სურვილი: კვლავაც ესტუმროს ამ ქვეყანას.

ოცის გმირი, მეცნიერი, პედაგოგი

24 წლის — საბჭოთა კავშირის გმირი, 27 წლის არქიტექტურის კანდიდატი, 39 წლისა — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის გამგე.

საკანდიდატო დისერტაციას საქართველოს ანტიკურ ციხე-ქალაქებზე წელიწადზე ცოტა მეტი მოუნდა. ეს ჭეშმარიტად საკვირველი იყო, რომ მას პრაქტიკულ საქმიანობას უკანასკნელ ოთხ წელიწადში დაცვის წინ საერთო არა ჰქონდა რა არც არქიტექტურასთან და არც ხელოვნებასთან. საბჭოთა არმიის ოფიცერი **ირაკლი ციციშვილი** ბომბებისა და ტყვიების წვიმაში აშენებდა ბლინდაჟებს, საცავ ხაზებს, დანაღმულ ველებს, მდინარეზე გადასასვლელებს. 1943 წლის ოქტომბერში ინჟინერ-მესანგრეთა ბატალიონის მეთაურის ი. ციციშვილის გმირობა დნეპრის გადალახვის დროს გმირის ოქროს ვარსკვლავით აღინიშნა.

ირაკლი ციციშვილის თანამებრძოლი, 38-ე არმიის საინჟინრო ჯარების უფროსი, სამხედრო ინჟინერი, გენერალ-მაიორი ნ. კრისანოვი პრესაში გამოქვეყნებულ დღიურებში წერდა: „კაპიტანი ციციშვილი, განათლებით არქიტექტორი, ტანადი ოფიცერი; ეროვნებით ქართველი, სუსტი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სინამდვილეში კი მტკიცე ნებისყოფის ადამიანი იყო და შეეძლო რამდენიმე ღამე არ დაეძინა — ყველაზე საშიშ ადგილებში გამოჩენილყო საჭირო მომენტებში. იგი კარგი ინჟინერი, შესანიშნავი ორგანიზატორი და საბჭოთა სამშობლოს უანგაროდ ერთგული მეთაური იყო“.

დაადგა რა მეცნიერის გზას, ომის გმირმა არაერთხელ გაამართლა თავისი საბრძოლო დანასიათება. არქეოლოგიურ ექსპედიციებში, მრავალი თვის მანძილზე განთიადიდან მზის ჩასვლამდე მუშაობდა იგი ძეგლების გათხრაზე, ღამე კი ჭრაქის სინათლეზე ამუშავებდა შეკრებილ მასალას. მკვლევარის დაძაბული შრომის შედეგი იყო დისერტაცია, შემდეგ კი წიგნი საქართველოს არქიტექტურის ძეგლებზე.

დისერტაციის ჩაცვის შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერს ორიდან ერთი გზა უნდა აერჩია: ან რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილებაში, ან პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრაზე მუშაობა. დაუცხრომელმა ირაკლი ციციშვილმა სტუდენტთა აუდიტორია აირჩია.

პროფესორი შეიძლება ნახოთ სახაზველო დარბაზებში, აუდიტორიებში. მას ყოველთვის ახვევიან სტუდენტები, ასპირანტები. იგი იქაა, სადაც გაცხარებული დავა ან დისკუსიაა. მისი ურთიერთობა სტუდენტებთან მეგობრული, გულახდილია. მასთან გაცნობა უმაღლეს სასწავლებელში შესვლამდე დიდი ხნით ადრე იწყება. ყოველ წელიწადს, თებერვლიდან ივლისამდე მუშაობს პროფესორი მოსამზადებელ კურსებზე მომავალ აბიტურიენტებთან.

— ხატვა ბევრს შეუძლია, — ამბობს ი. ციციშვილი — მაგრამ ყველა ვერ გახდება არქიტექტორი. კურსებზე ვცდილობთ გამოვავლინოთ საუკეთესო, ნიჭიერი ახალგაზრდები. იმათ კი, ვისაც არქიტექტორობა არ უწერია, ხელს ვუწყობთ ამოირჩიოს შესაფერისი ფაკულტეტი.

უკანასკნელი მისაღები გამოცდების დროს ოთხმა აბიტურიენტმა, რომელთა იმედი გვქონდა, თავი ვერ გაართვა საკონკურსო გამოცდებს. მაგრამ ინსტიტუტს მათზე ხელი არ აუღია. მხოლოდ, სტუდბილეთების ნაცვლად მათ დროებით მიეცათ არქიტექტურის კათედრის ლაბორანტთა და პრეპარატორთა მოწმობები. მომავალ ზაფხულში ისინი საფუძვლიანად იმეცადინებენ ფიზიკა-მათემატიკაში და კვლავ შეეცდებიან მოიპოვონ სტუდენტობის უფლება.

ირაკლი ციციშვილი ამავე დროს ხელმძღვანელობს დაპროექტების ექსპერიმენტულ ბიუროს, რომელიც რამდენიმე წლის წინ შეიქმნა კათედრასთან მისი ინიციატივით, ბიუროს მუშაობაში მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც მონაწილეობენ. მომავალი არქიტექტორებისათვის აქ მოსახვედრად მთავარია უმაღლესი შეფასებანი ძირითად დისციპლინებში, გატაცება და შრომისმოყვარეობა. ბიუროში იქმნება თანამედროვე, მოსახერხებელი ბინების, სამრეწველო ნაგებობების, ქალაქების დაგეგმვისა და რეკონსტრუქციის **პროექტები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამპროექტებელთა ნახაზებით ახლა შენდება დაბები ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მუშებისათვის. ბთილისის გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის საკონკურსო პროექტმა, რომელიც მეხუთეკურსელმა ილია გაბძაშვილმა შეასრულა, აჯობა პროფესიონალ არქიტექტორთა ნამუშევრებს. გამოცდილი დამრიგებლის ხელმძღვანელობით დაიწყეს მუშაობა არქიტექტორებმა რამაზ კიკნაძემ, ვლადიმერ ჭურთიშვილმა, გივი შავდიამ და სხვებმა, რომლებმაც ახლა ქალაქი დაამშვენეს შესანიშნავი ნაგებობებით. და უეჭველია, კათედრის, მისი ხელმძღვანელის დიდი დამსახურებაა, რომ ქართული ეროვნული არქიტექტურა ახლა აყვავების ხანაშია. საქართველოს ახალგაზრდა, ნიჭიერ ხუროთმოძღვართა უმრავლესობამ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა.**

ი. გორდელაძე.

მგოსნის პორტრეტი



რაიონულ ცენტრში დაბა ვანში, საქართველოს სახალხო მგოსნის გალაქტიონ ტაბიძის სამშობლოში, აღიმართა პოეტის სკულპტურული პორტრეტი. მგოსნის პორტრეტი ეკლარის ქვაშია გამოკვეთილი და დადგმულია ათმეტრიან კვარცხლბეკზე.

ამ ნამუშევრის ავტორია ადგილობრივი მხატვარი, ნიჭიერი ქართველი მოქანდაკე დიმიტრი ყიფშიძე.

სურათზე: გალაქტიონ ტაბიძის სკულპტურული პორტრეტი.

სადაც არწივები ბუდობენ

იძ, სადაც არწივები ბუდობენ, გადაშლილია ლოპოტის მარმარილოს კარიერები. რამდენიმე ათეული წლის წინათ მთის მდინარე ლოპოტმა ბარში ჩამოიტანა ამ ძვირფასი ქვის ნატეხები და ადამიანს აცნობა, რომ მთებში მარმარილოს მდიდარი საბადოებია. აქ, ორი ათას მეტრ სიმაღლეზე ასლა ტეხენ მარმარილოს, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება იტალიური და ბერძნული მარმარილოს საუკეთესო ნიმუშებს. გზა სპირალივით იწევს ზვიად. ზოგჯერ გეჩვენება, მანქანა კილომეტრიან უფსკრულში გადაიჩეხებაო. მაგრამ ჩვენი მძღოლი — შოთა ხუციშვილი მშვიდადაა, პირველად როდი მიჰყავს მანქანა ამ კიდეებში.

ჩვენ გვახლავს ახალგაზრდა ინჟინერი დავით მაისურაძე — თელავის ფიქალმარმარილოს კომბინატის კარიერების უფროსი. მან დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. შემდეგ კი პრაქტიკა გაიარა ტყიბულის, ტყვარჩელისა და დონბასის შახტებში. ახლა მაისურაძის ორმოცდაათი თანატოლი მისი უშუალო ხელმძღვანელობით ყოველთვიურად აბარებს სახელმწიფოს ასობით ტონა კეთილშობილ ქვას.

ამ მარმარილოთი მოპირკეთებულია თბილისის შენობები, მოსკოვისა და ლენინგრადის მეტრო, მთავრობის სახლი ულან-ბატორში, მეცნიერებისა და კულტურის სასახლე პარიზში... 500 მისამართით გზავნის თავის პროდუქციას თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატი.

ბევრი სამუშაო აქვს ინჟინერს. დღეში ათობით მანქანა მოდის კარიერში. თითოეული უნდა დატვირთო და გაგზავნო კომბინატში. სხვა საქმეც ბევრია. თანაც მეწყერი ჩამოწვა — გზა ავარიულ მდგომარეობაშია.

ვუახლოვდებით მეწყერის ადგილს. ორი გამოცდილი მუშა—დომენტი ნაკუტაიძე და პლატონ ცეცქიძე მეთაურობენ გზის გამაგრების სამუშაოებს. კომბინატში ათ წელზე მეტია მუშაობენ და ორივე რამდენიმე სპეციალობას არის დაუფლებული. ყოველთვის იქ არიან, სადაც უფრო ძნელი საქმეა, სადაც საჭიროა გამოცდილება და ცოდნა.

კარიერი № 9. მისი ექსპლოატაცია შეაჩერა სამთო ინსპექციამ — კლდემიუდგომელი გახდა. გაღმა სანთლიის მთაა, მის მახლობლად თბილისიდან ჩამოსული გეოლოგები მუშაობენ — საექსპლოატაციოდ ამზადებენ ახალ კარიერს.

მარმარილოს გზით მივდივართ. მისი სიგრძე დაახლოებით ერთი კილომეტრია. № 14 კარიერში გაჩაღებულია მუშაობა. ახალგაზრდობა ამზადებს შრომის საჩუქარს სამშობლოსათვის.

აქ თითქმის არ არის არც ერთი მეტრი გზა, რომლის მშენებლობაში მონაწილეობა არ მიეღოს ბულდოზერისტ ივანე ბაიაშვილს. ძნელი და საშიში სამუშაო აქვს — მოსპოს შეწყერის შედეგები, გაჭრას გზა ახალი კარიერებისაკენ.

შინ გვიან ვბრუნდებოდით, მარმარილოთი დატვირთული მანქანა ნელა მოდიოდა უფსკრულის კიდეზე. ამ დღეს მომპოვებლებმა 134 ტონა მარმარილო ამოიღეს, დავალებაზე ბევრად მეტი.

ი. გორგოძე.

დანერგილია ფარმოეგაში

ამ დღეებში თბილისის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რთვის განყოფილების ხელმძღვანელის ვ. ვაზაგაშვილის სახელზე მოვიდა წერილი მოსკოვიდან. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების კომიტეტიდან იტყობინებოდნენ, რომ ვაზაგაშვილის მიერ წარმოდგენილი დამყოფი თასმების მომზადების ხერხი დაინერგა ლატვიის ფაბრიკებში „ტექსტილიანაში“, „რიგატექსტილში“ და 8 მარტის სახელობის ფაბრიკაში, კრასნოდარისა და თბილისის კამვოლმაუდის კომბინატებში.

ვ. ვაზაგაშვილმა შექმნა სპეციალური აპარატი თასმების თანაბარი დაჭიმვისათვის, რომელიც იდგმება საჩეჩ მანქანაზე და იძლევა საუკეთესო ხარისხის მისაქსელს.

ამ გამოგონების დანერგვის ეკონომიური ეფექტი ერთ მანქანაზე გაანგარიშებით შეადგენს წელიწადში 6-7 ათას მანეთს.





● **კინოსტუდია** „ქართული ფილმი“ იღებს ახალ ფართოეკრანიან მხატვრულ ფილმს **„განგაშს“**, რომელსაც საფუძვლად უდევს **აკაკი ბელიაშვილის** ცნობილი რომანი **„შვიდკაცა“**. სურათზე მარცხნივ — კადრი მომავალი ფილმიდან. მსახიობები **მ. ცხოვრებოვა** ციცინოს და **ლ. გაფრინდაშვილი** ბონდოს როლებში.

● **თბილისის** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში წარმატებით იდგმება ფრანგი დრამატურგის **ჟან ანუის** პიესა **„ანტიგონე“**. სურათზე (მარჯვნივ) ხედავთ სცენას ამ სპექტაკლიდან: ანტიგონე — **ზინა კვერენჩხილაძე**, კრეონტი — **სერგო ზაქარიაძე**.

ყვარელში იქნება...

საქართველოს ცეკავშირის გამგეობამ გადაწყვიტა ყვარელში ააშენოს ახალგაზრდობის სახლი.

ეს ორსართულიანი შენობა დააპროექტა არქიტექტორმა ლევან მუშკუდიანმა. შენობის პირველი სართულის ნახევარი დაეთმობა ქორწინების დარბაზს. აქვე მოთავსდება ახალგაზრდული კაფე და რესტორანი,

მეორე სართულზეა ილია ჭავჭავაძის სახელობის სამკითხველო დარბაზი.

შემდეგი დარბაზი კოტე მარჯანიშვილის სახელს ატარებს. აქ იქნება თანამედროვედ მოწყობილი სცენა, რომელზეც ახალგაზრდა რეჟისორები განახორციელებენ თავიანთ დადგმებს.

ქალაქის საუკეთესო საავადმყოფო

ადამიანი რომ ჯანმრთელი იყოს

ვლინახევრის წინათ თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფო რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებათა საზოგადოებრივ დათვალიერებაში ჩაებეს. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიამ და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, შეაჯამეს რა დათვალიერების შედეგები, მე-7 საავადმყოფო საქართველოს ერთერთ საუკეთესო საავადმყოფოდ ცნეს.

— საავადმყოფოს საქმიანობის მაღალი შეფასება. — თქვა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა ვ. ზაქარიაძემ, — ახალ ვალდებულებებს აკისრებს ექიმებსა და მთელ პერსონალს, თითქმის ყველა ექიმი და ექთანი დაეუფლა მონათესავე პროფესიებს. მაგალითად, ქირურგებმა შეისწავლეს ანესთეზიოლოგია და რეანიმაცია. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით, როცა თითოეულ ექიმს უნდა შეეძლოს შეცვალოს მეორე.

საავადმყოფოს საუკეთესო ექიმთა შორის არიან ქირურგები ტ. ბერიძე, და რ. ანახასიანი, თერაპევტი ნ. ქათამაძე. ავადმყოფთა მადლობა დაიმსახურეს მედიცინის დებმა ე. მუხიგულმა, ბ. ქიტაიშვილმა.

მაღალკვალიფიციური სამკურნალო დახმარების უზრუნველყოფისათვის თერაპიულ განყოფილებაში გამოვყავით სპეციალური საწოლები ინფარქტით, ფილტვებით, გულსისხლძარღვოვანი სისტემის, აგრეთვე ღვიძლით დაავადებულთათვის. ქირურგიულ განყოფილებაში არის პალატები პაციენტებისათვის, რომლებსაც დაავადებული აქვთ ენდოკრინული ჯირკვლები, მიღებული აქვთ სხვადასხვა ტრავმა.

კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით. ჩვენს საავადმყოფოში საბჭოთა კავშირში პირველად დაიდგა აპარატი „მონიტორი“. მისი დახმარებით შეგვიძლია 24 საათის განმავლობაში გადავიღოთ ელექტროკარდიოგრამა, შევამოწმოთ პულსი, სუნთქვა, სისხლის წნევა და გულ-სისხლძარღვოვანი სისტემის სხვა პარამეტრები. სამართავ პულტთან ვიღებთ მთელ ინფორმაციას ავადმყოფის შესახებ. ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში ავტომატურად ირთვება საგანგაშო სიგნალი. აპარატი ერთდროულად კონტროლს უწევს რვა კაცს.

ექიმის საუკეთესო თანაშემწეა ელექტრო კარდიოსტიმულატორი, თუ ავადმყოფს უეცრად გაუჩერდა გული, ავტომატურად ჩართული აპარატი იმპულსების საშუალებით აღადგენს გულის მუშაობას.

საავადმყოფოს ბაზაზე დიდ პრაქტიკულ და მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას ეწევა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეორე ქირურგიული კათედრა, რომელსაც პროფესორი დ. მამამთავრიშვილი ხელმძღვანელობს, და ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც პროფესორი ნ. ყიფშიძე მეთაურობს. მეცნიერ მედიკებთან მუდმივი კონტაქტი და მჭიდრო კავშირი ჩვენს ექიმებს საშუალებას აძლევს აიმაღლონ კვალიფიკაცია, აითვისონ მკურნალობის უახლესი მეთოდები, იყვნენ მედიცინის მიღწევათა კურსში. კლინიკაში ფართოდაა გამოყენებული ღვიძლის ზოგიერთი დაავადების ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდიკა, რომელიც პროფესორმა დ. მამამთავრიშვილმა და დოცენტმა რ. იაშვილმა შეიმუშავეს, პროფესორ ა. ბეთანელის ხელმძღვანელობით ექიმებმა შეიმუშავეს ოპერაციის ორიგინალური მეთოდიკა თორმეტგოჯა ნაწლავის ზოგიერთი ტრავმის დროს. ამას წინათ პროფესორ დ. ტვილდიანის ხელმძღვანელობით აითვისეს სპეციალური აპარატის საშუალებით დეფიბრილაციის მეთოდი. ჰიპერტონიის მკურნალობისას დიდ ეფექტს იძლევა პრეპარატი „პიპარეზი“, რომელიც პირველად პროფესორ ნ. ყიფშიძის ხელმძღვანელობით გამოიყენეს.

მეცნიერულ მუშაობას ეწევიან პრაქტიკოსი ექიმებიც. თერაპევტები ტ. ჭელიძე, შ. გრიგოლია, ი. კაპანაძე, ქირურგები გ. მუხაძე, ა. კორკელია, გ. დოლიძე მუშაობენ საკანდიდატო დისერტაციებზე.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ იმას, რომ ავადმყოფზე რაც შეიძლება ნაკლებად იმოქმედოს საავადმყოფოს გარემომ. პალატები შეღებილია სასიამოვნო ფერებით, რადიოფიცირებულია და აღჭურვილია სიგნალიზაციით, გამწვანებულია ეზოს ტერიტორია.

— ქალაქის მეშვიდე საავადმყოფო საშეფო მუშაობას ეწევა, — ამბობს დასასრულს ვ. ზაქარიაძე. — მაგალითად, ქირურგიული განყოფილება შეფობას უწევს ჭუთაისის ავტოქარხნის სამედიცინო-სანიტარულ ნაწილს. თერაპიულმა განყოფილებამ იკისრა შეფობა გაუწიოს ზესტაფონისა და რუსთავის საავადმყოფოებს. ჩვენი ექიმები კონსულტაციებს მართავენ თბილისის პოლიკლინიკებში.

რომან რურუას ბედნიერი წელიწადი



„სპორტი—ს უდიდესი, ყოველდღიური შრომაა, რომელშიც ჩააქსოვ მთელ ძალღონესა და სიყვარულს“ — ამბობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მექსიკის XIX ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ქართველი მოჭიდავე რომან რურუა.

და მართლაც, მისი ჯილდოების მდიდარი კოლექცია იმის მოწმეა, თუ რა შეუძლია ნიჭსა და თავდადებულ შრომას.

...სპორტმა ადრე გაიტაცა, მშობლიურ სოფელ მუხურჩში, რომელიც გეგეჭკორის რაიონის თვალწარმტაც კუთხეში მდებარეობს, თანატოლებთან ერთად თამაშობდა ბურთს მდინარესთან მინდორზე, შემდეგ ბიჭები დაეჭიდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, გარს შემოხვეული თანასოფლელები კი — ქართული ეროვნული ჭიდაობის მცოდნენი — აქეზებდნენ მათ. პატარა კუნთმაგარი ბიჭუნა ბეჭებით აკრავდა მიწაზე მოწინააღმდეგეებს, მერე კი უხსნიდა შეცდომებს, ასწავლიდა ილეთებს...

თავისი ოსტატობა რომანმა დახვეწა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ი. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. პირველი დიდი წარმატება 1963 წელმა მოიტანა, როდესაც რ. რურუამ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე. 1964-65-67 წლებში იგი კვლავ პირველი იყო საბჭოთა კავშირში კლასიკური ჭიდაობის ქვემსუბუქ წონით კატეგორიის მოჭიდავეთა შორის.

1964 წელი. ტოკიოს ოლიმპიური თამაშები. დრამატული ფინალური შეჭიდება, როდესაც მსაჯთა „დახმარებით“ რურუა მხოლოდ მეორე ადგილზე გამოვიდა.

და კვლავ ვარჯიში, დაძაბული შრომა. 1966 წელს, ტოლიდოში ქართველი ფალავანი მსოფლიოს ჩემპიონი ხდება, შემდეგ წელს ბუქარესტში, იგი კვლავ ადის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

წინასაოლიმპიადო შეჯიბრებებში რომანი გამარჯვებული გამოვიდა ჭიდაობის ორ სახეობაში — კლასიკურსა და თავისუფალში.

და კვლავ ოლიმპიური თამაშები. ამჯერად მეხიკოში. სუფთა გამარჯვებები ყველა შეხვედრებში და ყაიმი ფინალში იაპონელ ხ. ფუიამოტოსთან. რომან რურუა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომანტი, ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ამგვარად, 1968 წელი ყველაზე ბედნიერი წელია სპორტსმენის ცხოვრებაში. წინ კი — ახალი შეხვედრები საჭიდაო ხალიჩაზე, ინჟინრის დიპლომის დაცვა და კვლავ შრომა და სპორტი, სპორტი და შრომა...







სურათებზე: 1. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რომან რურუა; რ. რურუა გეგეჭკორის რაიონის სოფ. მუხურჩის სკოლის მოსწავლეებთან, ამ სკოლაში სწავლობდა რომანიც; ზინა ვლადიმერის ასული ამაყობს შვილის წარმატებებით; რომან რურუა სანადიროდ მიდის.

წაუკითხეთ თქვენს პატარებს

ნაზი კილასონია

საბალღლდ

ჩემს პატარა,
ჰკვიან ბიჭებს
ვეტყვი ზამთრის ზღაპარს
ტყეში როგორ დააბიჯებს
თოვლისფერი პაპა.
ქარი ურხევს
თმებს და სარტყელს,
ფიფქი ათოვს გულზე.
მოდის... მოდის...
და მთელი ტყე
განაბული უმზერს.
იქნებ სამტრო ფერი აძევს
მოსულს მწვანე კართან?
ნორჩი,
ნორჩი,
ნორჩი ნაძვი
ეკვრის დედის კალთას:
იქნებ, იქნებ ხურჯინს ზედა
ცული უძევს მჭრელი?
ვისი დედა ატირდება
ცხარე, მწარე ცრემლით?
ვის წააქცევს ბედი კიდევ,
ვის ააგლეჯს ბუდეს?
დაჭრილ მკერდზე ვის დაჰკიდებს
საახალწლო ბურთებს?
და გუგუნებს მწვანე ეხო:
გეყო!
გეყო!
გეყო!
და ჩერდება თოვლის პაპა,
სევდა უკრთის თვალში.
ყურს მიუგდებს ზამთრის ზღაპარს,
მერე ხურჯინს გაშლის,
და ტყეს თავზე გადააპენევს
საახალწლო ვაშლებს!..
გაუმარჯოს ასეთ ზღაპრებს!
ასეთ ჰკვიან ბავშვებს!
სიკეთისთვის გული გვეყოს,
ვაცხადებდეთ ზღაპრებს...
გუგუნებდეს მწვანე ეხო
გადარჩენის ამბავს!

გედნიერი სიბერე

შინაარსიანი ცხოვრება გაატარეს საკოლმეურნეო შრომის ვეტერანებმა, ძმებმა მახთი და ესნათ ჰაგბებმა.

ძმები ჰაგბები — აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის აქტიური მებრძოლები, პირველივე წლებში შეუდგნენ ახალი ცხოვრების შენებას. ისინი გუდაუთის რაიონის სოფელ აჩანდარაში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ინიციატორები იყვნენ.

მათ თვალწინ შენდება და სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება საკოლმეურნეო სოფელი. იზრდება სოფლის ინტელიგენციის ახალი თაობა. ძმებს სამოცდაათამდე ბადიში, შვილიშვილი და შვილი ჰყავთ. ყველა ისინი სოფლის საპატივცემულო ადამიანები არიან.

რევოლუციურ მოძრაობასა და სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში ნაყოფიერი მონაწილეობისათვის მთავრობამ დააჯილდოვა მახთი მედლით „მამაცობისათვის“, ხოლო ესნათი „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

სურათზე: ძმები მახთი (მარცხნივ) და ესნათ ჰაგბები.



ახალი წიგნების სამყაროში

კანი და ასაკი

საქართველო. ოდითვე ცნობილია, როგორც ხანდაზმულთა ქვეყანა, აქ ცხოვრობს 80 და მეტი წლის დაახლოებით 62 ათასი კაცი. ორი ათასზე მეტმა კაცმა გადააბიჯა საუკუნეს. ყველა მათ განუწყვეტლივ უწევენ კონტროლს გერონტოლოგები და გერიატორები — მედიკოსები, რომლებიც სწავლობენ ხანდაზმულობის და ნაადრევ სიბერესთან ბრძოლის პრობლემებს.

მეცნიერთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტად განსაზღვრონ ხანდაზმულთა ასაკი. მაგრამ დღემდე ეს საკითხი საბოლოოდ არ გადაჭრილა. ზოგიერთ მოხუცს არ ახსოვს რამდენი წლისაა. მაგალითად, ხაშურის რაიონის მცხოვრებმა ივანე გონგაძემ ანკეტაში ჩაწერა, რომ 84 წლისაა. გარეგნულად და ჯანმრთელობის მდგომარეობით მისი ასაკის სისწორე ეჭვს არ იწვევდა. უფრო გვიან კი მედიკებმა გამოარკვიეს, რომ მოხუცის ვაჟი... 76 წლისაა. აღმოჩნდა, რომ ივანე ას წელზე მეტისაა.

ხანდაზმულთა ასაკის დაზუსტების დროს მეცნიერი-მედიკები ამოწმებენ არა მარტო მეტრიკებს, პასპორტებს, და სოფლსაბჭოს აღრიცხვის წიგნებს, არამედ საეკლესიო ჩანაწერებსაც; არკვევენ შვილების, შვილიშვილების, ბადიშიშვილების ასაკს. მაგრამ აქაც არ არის გამორიცხული შეცდომები და უზუსტობანი.

მრავალი წლის გამოკვლევამ 80 და მეტი წლის ასაკის 250 კაცისა საშუალება მისცა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებმა პ. სტეშენკოვამ და დ. ჭოჭუას გაეკეთებინათ დასკვნა, რომ კანის საფარი ასახავს ორგანიზმის ასაკობრივ ცვლილებებს.. ეს საკითხი განხილულია მონოგრაფიაში **„კანი ღრმა მოხუცებულობაში“**, რომელიც გამოუშვა გამომცემლობა „მეცნიერებამ“.

„80 ათასი კილომეტრი წყლით“

— ასე უწოდა თავის წიგნს მწერალმა როდამ ჩაჩანიძემ, რომელიც დაბრუნდა სამხრეთ აფრიკის ნაპირებიდან.

1966 წლის 5 აპრილს ფოთიდან აფრიკაში გაემგზავრა თევზის საყინვი ტრალერი „შოთა რუსთაველი“. მესაჭედ დაინიშნა რ. ჩაჩანიძე.

ჩვენ ვიყავით გიბრალტარში, სენეგალის რესპუბლიკის დედაქალაქ დაკარში, ოლფიშ-ბეიში (სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა) და კანარის კუნძულებზე, გვიამბობს იგი. რამდენიმე ხნის შემდეგ ტრალერის კაპიტნის პირველ თანაშემწედ დანიშნეს. — ვიჭერდით სარდინს, კარჩხანას, კალმარს და სხვა თევზს და ვყინავდით. რეგულარულად გადაჭარბებით ვასრულებდით სახელმწიფო გეგმას. მეორე რეისში 1966 წლის ნოემბერში გავემგზავრეთ. მან თითქმის წელიწადს გასტანა. ვიყავით გიბრალტარში, ურუგვაიში, არგენტინაში. არგენტინისა და ურუგვაის ნაპირებთან ჩვენი გემი მოხვდა საშინელ გრიგალში, რომელსაც „პამპეროს“ უწოდებენ. ქარის სიჩქარე 51 მეტრს აღწევდა წამში, მაშინ როცა ტაიფუნის დროს ქარის სიჩქარე მხოლოდ 24 მეტრია წამში. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან საინტერესო შემთხვევა მოხდა, ტრალერის გემბანზე დაუპატიჟებელი სტუმარი გვეწვია—ზღვის ლომი. იგი უძრავად იწვა. მაგრამ როგორც კი ერთ-ერთმა მეზღვაურმა მიუალერსა, საშინლად აბღავლდა და კინაღამ ხელი მოაჭამა, ზღვის სტუმარს ზურგზე უზარმაზარი ჭრილობა ჰქონდა. დავუწყეთ მკურნალობა. და თუმცა ხოსე ჩვენი დიდი მეგობარი გახდა, ერთ დღეს მაინც დატოვა გემი...

შარშან ერთი რეისის განმავლობაში ჩვენი ტრალერის მებადურებმა გაყინეს 2.200 ტონა თევზი. საერთო თევზჭერა კარგი იყო — 3.800 ტონა. სახელმწიფო გეგმა 119 პროცენტით შევასრულეთ. წელს ვცურავდი თევზსაყინავ ტრალერ „მცხეთით“. სახელმწიფოს ჩავაბარეთ 1945 ტონა გაყინული თევზი.

— გვითხარით, რით გაახარებთ ნორჩ მკითხველებს?

— ამას წინათ გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოუშვა ფანტასტიკური მოთხრობები „ჩაძირული კუნძული“. უახლოეს ხანში გამოვა მოთხრობების კრებული ატლანტის ოკეანის ცხოველებზე, ჩემი პატარა მკითხველებისათვის დავწერე ავრეთვე მოთხრობები ჯუნგლებზე, აფრიკული ლეგენდები და მოთხრობების კრებული „ირლანდიელი ლედი“.

საინტერესო ნაკოვნები

მოკლედ

● **უვარელი.** სოფელ გავაზში, მასწავლებელ მ. კაცობაშვილის ეზოში სამი მეტრის სიღრმეზე წააწყდნენ ერთად ჩაწყობილ ხუთ ცალ შავი ფერის კერამიკის ჭურჭელს. ახლად აღმოჩენილი კერამიკის ნაწილი გადაეცა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ გრემის ძეგლ-მუზეუმს, ხოლო ნაწილი გავაზის საშუალო სკოლის არქეოლოგიურ კუთხეს.

● **ჰიათურა.** ჰიათურის მიდამოებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დავით თუშაბრამიშვილი, გამოქვაბულში აღმოაჩინა უძველესი ადამიანის კვალი ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ნაშთი ნეანდერტალელი ადამიანისა. გამოქვაბულში ექსპედიციამ იპოვა გიგანტი ცხოველებისა და მტაცებელთა ძვლები. ერთ-ერთ გამოქვაბულში, რომელიც სამი ფენისაგან შედგება, ნაპოვნია თიხის ჭურჭელი და კაუის ნაწარმი, რომელიც ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

[I-10]

Ც-30/1а

ინახებოდა საქართველოში...

დიდი უზბეკი პოეტისა და მოაზროვნის სახელთან დაკავშირებულია გერათის კულტურის აღორძინება. გერათის სკოლიდან იწყება უზბეკური კლასიკური ლიტერატურა, რომლის ფუძემდებელია ა. ნავოი.

საქართველოში უძველესი დროიდან კითხულობენ და იცნობენ ალიმერ ნავოის ნაწარმოებებს, ქართულად თარგმნიან მის ლექსებსა და პოემებს. ნავოისა და მისი ნაწარმოებების გმირთა სახელები ხშირად არის ნახსენები ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში.

ქართველი მეცნიერები და აღმოსავლეთმცოდნეები კვლავ და კვლავ უბრუნდებიან უზბეკი კლასიკოსის შემოქმედებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ამას წინათ იპოვეს ა. ნავოის ნაწარმოებთა უცნობი ხელნაწერი პირები. ისინი იპოვა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ც. აბულაძემ. იგი მუშაობდა თურქულ ხელნაწერთა აღწერისთვის და აღმოაჩინა ა. ნავოის კიდევ ოცი ხელნაწერი წიგნი, რომლებიც შეიცავენ მის შვიდ ნაწარმოებს. ეს ნაწარმოებებია „დივანი“ (ლირიკულ ლექსთა კრებული), „ჩარ დივანი“ (ოთხი ლირიკული კრებული), „მეჯლის-უნ-ნაფაისი“ (იშვიათ ადამიანთა საკრებულო), „ფარჰად და შირინი“, „ისკანდერ-ნამე“, „მუნშაათი“ (წერილები), „ვაკუფ-ნამე“ (საბოძვრის წიგნი). ინსტიტუტში ინახება თითოეული ამ ნაწარმოების რამდენიმე ხელნაწერი ვარიანტი. „ფარჰადისა და შირინის“ ორი რედაქციიდან ერთ-ერთი უძველესი პირია და მიეკუთვნება 1526-27 წლებს. იგი გადაწერილია ავტორის სიკვდილიდან 25 წლის შემდეგ. „მუნშაათის“ პირებს შორის ერთ-ერთი დათარიღებულია 1519 წლით. იგი ამ ნაწარმოების ცნობილ ხელნაწერ პირებში ერთ-ერთი უძველესია. ინსტიტუტში ინახება „მეჯლის-უნ-ნაფაის“ ორი პირი, აგრეთვე ლექსიკონი ა. ნავოის თხზულებებისათვის, რომელიც შედგენილია XVI საუკუნეში.

ნავოის ნაწარმოებთა ხელნაწერ პირებს, რომლებიც ახლა აღმოაჩინეს, დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ პოეტის ტექსტების დასადგენად.

მშობლიური ადგილები



გურია, ზამთრის პირი.

ფოტო ნ. მალაზონიასი.

შენ დაგეძებენ, ქართველო!

იასონ (იაშა) ვლადიმერის-ძე ნიშნიანიძეს, დაბადებულს სოფ. სიმონეთში (თერჯოლის რაიონი), ეძებს დედა — მატრონა ქრისტესას ასული ნიშნიანიძე.

ნიკოლოზ ანდრიას-ძე სულაბერიძეს, დაბადებულს 1918 წელს თბილისში, ეძებს დისშვილი — ციალა ცუკას ასული ხუბერაშვილი.

შარანაოზ რომანის-ძე მჭედლიშვილს, დაბადებულს 1922 წელს ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ხოდაშენში, ეძებენ მშობლები: დედა — მანანა, მამა — რომან მჭედლიშვილები.

რატი გრიგოლის-ძე რატიშვილს, დაბადებულს 1916 წელს ქ. თბილისში ეძებენ: მეუღლე — ლენა ძიძიგური, და — დარიკო გრიგოლის ასული რატიშვილი.

იუსტინე ერმილეს-ძე გურგენიძეს, დაბადებულს გაღდადის (ახლა მაიაკოვსკის) რაიონის სოფელ რიკოთში, ეძებს ძმა — იონა ერმილეს-ძე გურგენიძე.



სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ნ. სულაბერიძე, ფ. მჭედლიშვილი, ი. ნიშნიანიძე.

შენდეგა კლუგეგი, გიგლიოთეკეგი

გორი. გორის რაიონში უკანასკნელ ორ წელიწადში აშენდა 13 კლუბისა და 11 ბიბლიოთეკის შენობები. საექსპლოატაციოდ გადაეცა სოფლების დიცის, ნიქოზის, მეღერეკისისა და ხულთუბნის კლუბები.

ახლა რაიონის მშრომელებს მომსახურებას უწევს 27 კლუბი, 4 კულტურის სახლი, კლუბებთან არსებული 27 ბიბლიოთეკა, 28 სასოფლო ბიბლიოთეკა, ორი რაიონული ბიბლიოთეკა, სამი მუზეუმი, რომელთაგან ორი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს.



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: 227 მეტრის საშუალო ტალღაზე ანუ 1322 კილოჰერცის სიხშირეზე, 30,8ა მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 9730 კილოჰერცის სიხშირეზე.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით 50,59 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 5930 კილოჰერცის სიხშირეზე.

სარედაქციო კოლეგია



თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.